# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №148 (217) შაბათი, 26 აგვისტო, 1995 ფასი 250 000 კუპონი

## მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია!

კვირის დასაწყისში რიგგარეშე სესიის დაწყების წინ პარლამენტარებს, ჩვეულებრივ, განსახილველი ცალკეული თავების ნაცვლად, კონსტიტუციის პროექტი მთლიანი სახით დაურიგდათ; ეს ნიშნავდა, რომ ძირითადი კანონის კონკრეტულ მუხლებზე მსჯელობა, ფაქტობრივად, დასრულდა და დადგა დრო, დეპუტატებს კონსტიტუცია საერთო ხედში დაენახათ, მთლიანობაში აღექვათ და საკუთარი ვერდიქტი გამოეტანათ. ქვეყნის სამართლებრივი მოწყობისთვის საჭირო ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიღებაში კი ეჭვი აღარავის ეპარებოდა. უფრო მეტიც — ბევრი პარლამენტარი უკვე საპარადო მუნდირებში სამახსოვრო სურათის გადასაღებადაც ემზადებოდა.

კონსტიტუციის პროექტის (თუ საკონსტიტუციო კანონის — ეს კიდევ დასაზუსტებელი რჩებოდა) „ტრიუმფალურ სვლაში" ლომის წილი შემთანხმებელ ჯგუფს მიუძღვის, რომლის ნაყოფიერ მუშაობაზე სახელმწიფოს მეთაურმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება. ჯგუფის მიერ „წარმოებული პროდუქციის" მაღალ ხარისხს ისიც ადასტურებს, რომ წარმოდგენილ წინადადებათა უმეტესობა თავისი დამაჯერებლობითა და ლოგიკურობით დეპუტატთა შორის დავას აღარ იწვევდა. ასე მაგალითად, პარლამენტარებმა „უმტკივნეულოდ" გაიარეს სახელმწიფო ფინანსებთან და კონტროლთან დაკავშირებული ისეთი „მგრძნობიარე" პრობლემები, როგორიცაა ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების, ეროვნული ბანკისა და კონტროლის პალატის ფუნქციონირების საკითხები, აგრეთვე პროექტის პირველი თავი — ზოგადი დებულებები.

თუმცა, იმის თქმა, რომ ყველაფერი გეგმაზომიერად მიდიოდა და ჰარმონია არ ირღვეოდა, არასწორი იქნება. საკითხების განხილვაში დისონანსი ხშირად იმ პარლამენტარებს შეჰქონდათ, რომლებიც „შეთანხმებებში" არ მონაწილეობდნენ და უშუალოდ სხდომების მსვლელობისას ცდილობდნენ თავიანთი მოსაზრებების „რეალიზაციას", რისთვისაც სახელმწიფოს მეთაურისგან მკაცრ საყვედურებს იმსახურებდნენ.

ასეთი „რისხვა" დაატყდა თავს, მაგალითად, ნოდარ ნათაძეს, რომელიც არ დაეთანხმა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ვარიანტს (მუხლი 98, პუნქტი 2 — „სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს პრეზიდენტი, ხოლო რაოდენობას, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით, პარლამენტი — სიითი შემადგენლობის უმრავლესობით") და დაჟინებით ითხოვდა, სამხედრო ძალების სტრუქტურების დამტკიცებაც პარლამენტის კომპეტენციაში გადასულიყო. ასევე შეუვალი იყო რესპუბლიკელების ლიდერი მეოთხე მუხლზე მსჯელობისასაც, რომელიც თავდაცვის მიზნით ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანასა და გამოყენებას შეეხებოდა — შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების პრიორიტეტი პრეზიდენტს ენიჭებოდა, რომელსაც არაუგვიანეს 48 საათისა, ეს გადაწყვეტილება თანხმობის მისაღებად უნდა შეეტანა პარლამენტში, მაგრამ ამ ფორმულირებას რესპუბლიკელები არასგზით არ დათანხმდნენ და დააყენეს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლების პარლამენტისთვის გადაბარების საკითხი. მას შემდეგ კი, როცა შემთანხმებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა, ვიცესპიკერმა რუსუდან ბერიძემ „აჯანყებულები" უკვე მიღწეული შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა, სხდომის დარბაზი სამხედრო შტაბს დაემსგავსა, სადაც სერიოზულად იხილავდნენ საომარ ვითარებაში სხვა ქვეყნის სამხედრო ძალის გამოყენების საკითხს.

ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციამ დაითანხმა სამომავლოდ პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი, ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უფლება პარლამენტისთვის „დაეთმო", მაგრამ ახლა „პრეზიდენტის ერთგული ლაშქარი" აბობოქრდა და არც ეს მხარე აპირებდა დათმობაზე წასვლას, რამაც ძალზე გაამძაფრა წინააღმდეგობა. ხანგრძლივი დისპუტის შემდეგ დეპუტაცია ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა — ვინაიდან იძულებით თუ ნებით, მომავალ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა „გარდუვალია" და მათი ბედი მაგარი ჯაჭვით გადაენასკვა ერთმანეთს, გადაწყდა: გადაწყვეტილებას უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ ღებულობს პრეზიდენტი და იგი ძალაში შედის პარლამენტის დასტურის შემთხვევაში.

საინტერესო დისკუსია გაიმართა კონსტიტუციის პრეამბულის ირგვლივაც. აქ პარლამენტარებს უსაზღვრო ასპარეზი გადაეშალათ, რათა ცნებების „ხალხის" და „მოქალაქის" დაპირისპირების ფონზე პოტენციური ამომრჩევლებისთვის თავიანთი ერუდირებულობა ეჩვენებინათ.

რაც შეეხება სესიის ბოლო სხდომებს, ისინი უფრო პროზაულ ხასიათს ატარებდნენ: უნდა გარკვეულიყო დეპუტატთა „სადიპლომო ნამუშევრისთვის" კონსტიტუცია ეწოდებინათ, საკონსტიტუციო კანონი, საკონსტიტუციო აქტი თუ ძირითადი კანონი. საპარლამენტო უმრავლესობა პირველ დასახელებას უჭერდა მხარს, ხოლო ოპოზიციურ ფრაქციათა ნაწილი — დანარჩენ ვარიანტებს. ამ შემთხვევაში კომპრომისისთვის ადგილი აღარ დარჩა: ან ერთ მხარეს უნდა დაეთმო, ან მეორეს, საკითხის გადასაწყვეტად სამი დღის განმავლობაში ტრიალებდა რულეტკა სხდომათა დარბაზში (ერთხელ დახურულ კარს მიღმაც), რის შემდეგაც არჩევანი დოკუმენტისთვის უმაღლესი სტატუსის მინიჭებაზე შეჩერდა: 1995 წლის 24 აგვისტოს 18 საათზე პირშშოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია დაარქვეს.

„ახალშობილის" მამებმა გუშინ მოსწავლეთა სასახლეში შამპანურით „დაასველეს"ეს ღირსახსოვარი თარიღი.

გია მაჩხანელი

## ახალი ღვთისმშობლის მიძინების საყდარი ქართლში

მარიამობის დღესასწაულზე თეთრიწყაროს რაიონში ახალი სალოცავის აშენებას იზეიმებენ. სოფელ საღრაშენში, ფარცხისის ციხის მახლობლად, ალგეთის ხეობაში ხალხმა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ააგო. ახლომახლო მდებარე რამდენიმე სოფელში დღემდე ერთი სალოცავიც კი არ იყო. საშვილიშვილო საქმე გააკეთეს სოფლელებმა და 28 აგვისტოს მთელ რაიონს ეპატიჟებიან ეკლესიის გახსნის ცერემონიალზე.

## ფაქტები და მოვლენები

### შემზარავი მკვლელობა

სააგენტოს კორესპონდენტისთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ 20 აგვისტოს თბილისში მოკლეს ორი პიროვნება: გიული ბახტაძე და გურამ მოთიაშვილი,რომელთა უთავო, გადახერხილი, დანაწევრებული გვამები მკვლელმა გარდაბნის რაიონში, ლოჭინის ხევში დაფლა, თავები კი 31-ე საავიაციო ქარხნის მახლობლად მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე. 23 აგვისტოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა საკუთარ კაბინეტში დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი, მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის თანაშემწე, თ.კიტოვანის ყოფილი თანაშემწე, 21 წლის ირაკლი კერესელიძე, რომელმაც დაკითხვაზე აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაასახელა თანამონაწილე, პრემიერმინისტრის პირადი დაცვის ხელმძღვანელი კახა ალასანია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ უკანასკნელს ალიბი აღმოაჩნდა (მკვლელობის დღეს კ.ალასანია პრემიერთან ერთად დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა) წინასწარი მონაცემებით გაირკვა, რომ ი.კერესელიძე შეჰპირდა გ.ბახტაძეს — 500 ათასი დოლარის კრედიტის გამოტანას და ამ მიზნით ჯიბის ფულად მას 4 ათასი დოლარი გამოართვა. მოგვიანებით გ.ბახტაძეს ეჭვი შეეპარა კერესელიძის გულწრფელობაში და იგი გ.მოთიაშვილთან ერთად სახლში ესტუმრა კერესელიძეს. ერთმანეთში მომხდარი შელაპარაკებისას ი.კერესელიძემ მაკაროვის სისტემის პისტოლეტით (რომელიც, მისი თქმით, აფხაზეთიდან ჩამოიტანა), ადგილზე დახოცა ბახტაძე და მოთიაშვილი, შემდეგ კი საკუთარ დედასთან ერთად ნაწილნაწილ დაჭრა გვამები. როგორც გაირკვა, ი.კერესელიძის ბინაში ნაპოვნი საბუთებიდან, იგი არცთუ უსაფუძვლოდ აპირებდა ბანკიდან 500 ათასი დოლარის კრედიტის გამოტანას. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა რესპუბლიკის პროკურატურამ.

### „ღმერთის წარგზავნილი" ჩხოროწყუში

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ამ დღეებში ჩხოროწყუს მცხოვრებმა ორდენ წულაიამ გაიტაცა ქალაქის ცენტრში, მცირე ხნით უყურადღებოდ გაჩერებული ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მანქანა გაზ 24. რამდენიმე საათის შემდეგ მანქანის გამტაცებელი ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა. როგორც ცნობილი გახდა, 22 აგვისტოს ორდენ წულაია ბაზარში ჯოხით ხელში ქალებს დასდევდა და არწმუნებოდა, რომ იგი ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი დედამიწაზე.

### მაშველთა კორპუსის სწავლება

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ ახალციხეში გაიმართა საქართველოს მაშველთა კორპუსის ერთდღიანი სწავლება, სადაც ნაჩვენები იყო ადამიანების გადარჩენისა და მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის იმიტაცია. სწავლებას დაესწრნენ საქართველოს მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი გიგა გელაშვილი და სამხრეთ საქართველოს რაიონების ხელმძღვანელები.

### გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში

გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე, ქუთაისში დისლოცირებული 21-ე ბრიგადის ხელმეორედ შესამოწმებლად დასავლეთ საქართველოს გაემგზავრა, როგორც ცნობილია, მინისტრმა 21-ე ბრიგადა ორი კვირის წინ მოინახულა, სადაც მან მთელი რიგი დარღვევები აღმოაჩინა.

### ბრიფინგი გადაიდო ავადმყოფობის გამო

„სახელმწიფოს მეთაურის ავადმყოფობის გამო ბრიფინგი არ ჩატარდება", — განაცხადა გუშინ სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანმა რამაზ საყვარელიძემ, პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოწვეულ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. როგორც მან განმარტა, ედუარდ შევარდნაძის პირადი ექიმი, 8 დღის განმავლობაში სთხოვდა ბატონ ედუარდს, მიეხედა ჯანმრთელობისთვის, ვინაიდან იგი გრიპით არის ავად და სიცხიანი ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს. 25 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძემ მთელი დღე კრწანისის სამთავრობო აგარაკზე გაატარა ექიმების ზედამხედველობის ქვეშ. რამაზ საყვარელიძის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაიდო კონსტიტუციაზე ხელმოწერის ცერემონიალის გამართვაც, რომლის ორგანიზება საკუთარ თავზე აიღო ქალაქის მერიამ და მისი უფრო მასშტაბურად, საზეიმო ვითარებაში ჩასატარებლად, რამდენიმე დღე მოითხოვა რაც შეეხება ბრიფინგს, რომელიც უნდა დათმობოდა კონსტიტუციასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს, რამაზ საყვარელიძემ შესთავაზა დაინტერესებულ ჟურნალისტებს ამ თემაზე შეკითხვები დაესვათ დარბაზში მსხდომი რამდენიმე დეპუტატისთვის. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა არ გამოხატეს არანაირი დაინტერესება და დაიწყეს დარბაზის დატოვება, რამაზ საყვარელიძემ არშემდგარი ბრიფინგი დასრულებულად გამოაცხადა და ჟურნალისტები დაიმედა, რომ შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან უახლოეს დღეებში გაიმართება.

იპრინდა



სარედაქციო კოლეგია:
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი
რედაქტორი
პაატა ვეშაპიძე
გივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ სალია
გულსუნდა სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია
პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა გაბრიჩიძე
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი
სპეციალური კორესპონდენტი შიდა ქართლში
გივი ბორცვაძე
„არილი"
რევაზ სირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია
„თვალსაწიერი"
თიურა ვაშაძე
ირმა კაჩნიაშვილი
პაია უკლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი
სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი
იუმორი
ნინო სვანიძე
სარეკლამო სააგენტოს დირექტორი
დიმიტრი მოსულიშვილი
ფოტოილუსტრაცია
გიორგი შატბერაშვილი
ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია
რედაქციის გამგე
ნატა სურმავა
მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის უფროსი
თენგიზ ჩოლოყაშვილი
პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ლალი ჩოლოყაშვილი
ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო კალმახელიძე
მარი ნიკოლეიშვილი
კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ ვიბლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი:
თბილისი,
პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05

## ფაქტები და მოვლენები

### შამილ ბასაევი: მე ახალ ტერორს დავატეხ რუსეთს!

გასულ კვირას გროზნოში კვლავ გაგრძელდა მოლაპარაკება მებრძოლ მხარეთა წარმომადგენლობით დელეგაციებს შორის. მანამდე ჯოხარ დუდაევი კარგა ხნის მანძილზე ეთათბირებოდა ჩეჩნეთის დელეგაციის მეთაურს ასლან მასხადოვს და როგორც ინტერფაქსის სააგენტო იტყობინება, ჩეჩნეთის პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა მიღწეული შეთანხმებით. თუმცა, ყველა ამ ჩამოთვლილ მოვლენებს წინ უსწრებდა ერთი ტრაგიკული ინციდენტი: კერძოდ, აჩხოი მარტანის რაიონში, როგორც რუსული მხარე ირწმუნება, დანაღმულ ველზე აფეთქების შედეგად დაიღუპა 14 წლის ჩეჩენი მოზარდი. თუმცა, ჩეჩნური მხარე საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მისი თქმით ყმაწვილი ტყუილუბრალოდ, შეგნებულად მოკლეს ფედერაციის ჯარისკაცებმა. ამ ამბავმა აღაშფოთა შამილ ბასაევი, რომელიც, როგორც ცნობილია, არ ცნობს არავითარ მოლაპარაკებას მანამ, სანამ ჩეჩნეთის მიწაზე თუნდაც ერთი რუსი მეომარი მაინც იმყოფება და იგი ფაქტობრივად აღარ ემორჩილება ჯოხარ დუდაევს, თუმცა ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. იმავე ინტერფაქსის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შამილ ბასაევმა თქვა, რომ თუ რუსეთი არ შეწყვეტს აგრესიას ჩეჩნეთში მაშინ იგი და მისი შეიარაღებული დაჯგუფება ტერორისტული აქტების ახალ ტალღებს დაატეხენ თავს რუსეთის სხვადასხვა რეგიონებს, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვება და ამისთვის პასუხისმგებლობას ბასაევი მთლიანად რუსეთის მხარეს დააკისრებს.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ შეთანხმებას, მასში ახალი არაფერი თქმულა. ჩეჩნეთი ვალდებულებას კისრულობს ჩააბაროს იარაღი, ხოლო რუსეთმა მეომრები უნდა გაიყვანოს რესპუბლიკიდან. თითოეულ ცეცხლსასროლ იარაღში ყოველი მებრძოლი მიიღებს 200 დოლარამდე, იარაღი კი განადგურდება.

ამ კვირას მოლაპარაკება კვლავ განახლდება.

### საფრანგეთი: ბირთვული გამოცდა... ევროპის უსაფრთხოებისთვის

ფრანს-პრესის ცნობით, საფრანგეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პარიზში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ქვეყანა არ შეცვლის გადაწყვეტილებას წყნარი ოკეანის სამხრეთით ბირთვული იარაღის საცდელი აფეთქების შესახებ. მან აგრეთვე მოუწოდა ევროპის ქვეყნებს, რომ ისინი გაგებით მოეკიდონ საფრანგეთის ამ გეგმას, ვინაიდან ბირთვული ბომბის გამოცდა, უპირველეს ყოვლისა, ევროპის უსაფრთხოებისთვის არის გამიზნული.

## მიმართვა

### საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ!

ამ ბოლო ხანებში საზოგადოებაში განსაკუთრებული რეზონანსი მოყვა თბილისის პოლიციის სამმართველოს ნარკობიზნესის და ნარკომაფიის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილის, ვიცეპოლკოვნიკ გელა კავთელიშვილის დაპატიმრებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტთა ფედერაციის შენობაში 15 აგვისტოს გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა, რომ პროკურატურის სურვილი, წარმოადგინოს გელა კავთელიშვილის საქმე ცალკე ლია წამალაშვილ-ჭოველიძის საქმისგან მოწყვეტით, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლესთან ვერ მივა.

პრესკონფერენციაზე, რომელზეც, ფაქტობრივად, დედაქალაქის ჟურნალისტთა კორპუსის მთელი სპექტრი იყო წარმოდგენილი, ვერ მივიღეთ ვერც ერთი დამაკმაყოფილებელი პასუხი პროკურატურის მხრიდან — ჭოველიძის საქმეზე ისინი დუმილს ამჯობინებენ. ტაბუ აქვს დადებული მასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს დეტალებს. ერთი რამ ფაქტია — ერთმანეთზე გადაბმული ეს ორი საქმე ერთი კონკრეტული დანაშაულის და იქნებ შესაბამისი უწყებების ფარგლებსაც გაცდა. ქვეყანა კი არჩევნებისთვის ემზადება.

ბატონო ედუარდ!

ასეთ სიტუაციაში ყველა იმედი თქვენზეა. მოგმართავთ ჟურნალისტები თხოვნით — თქვენი განკარგულებით შექმნათ კომპეტენტური კომისია, რომელიც დაიქვემდებარებს ლ.ჭოველიძის მკვლელობის და გ.კავთელიშვილის საქმის ერთობლივ გამოძიებას.

პატივისცემით
ჟურნალისტები

ხელს აწერს ათეულობით პიროვნება და რედაქცია

## პრესკონფერენცია

# მეორე აუქციონი — შთამბეჭდავი შედეგები

ხუთშაბათს რესპუბლიკურ საბარათო-სააუქციონო ცენტრში გამართული პრესკონფერენცია მე-2 აუქციონის შედეგებს მიეძღვნა. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბარათო-სააუქციონო ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ემირ ჭუღელი.

ემირ ჭუღელის ცნობით, მეორე აუქციონის რიცხობრივი მაჩვენებლები ძალზე შთამბეჭდავია. არსებობს მომდევნო აუქციონთა შედეგების შესახებ წინასწარი მონაცემები და როგორც ჩანს, მეორე აუქციონზე (აქ გამოტანილი იყო 63 საწარმო) შემოსული ვაუჩერების რაოდენობა სარეკორდოა.

მოვლენათა მსვლელობა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პრივატიზაციის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. აუქციონებზე გაყიდულია 7 მლნ-ზე მეტი აქცია. ჩვენი ბიზნესმენები, საერთოდ, მოსახლეობა თანდათან ეჩვევა აქციებთან მუშაობას. ამ მხრივ გადადგმული პირველი ნაბიჯები აშკარად ჩანს.

მაგრამ არ შეიძლება რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოკიდება და იმის დავიწყება, რომ თუ ის თვისობრიობაში არ გადაიზარდა, პრივატიზაციას აზრი არ ექნება. არადა, ჭარბობს შემთხვევები, როცა აქციები იყიდება, მაგრამ საწარმოთა ამუშავებას საშველი არ ადგება. ამ ეტაპზე ყველაზე კრიტიკულია გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების მუშაობა.

ბატონმა ემირმა ხელისუფლებისგან პრივატიზაციის საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერება მოითხოვა. მისი აზრით, ამაზე უნდა ზრუნავდნენ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები. ეს უკანასკნელი კი, იმის ნაცვლად, რომ პრივატიზაციის მიერ მოცემული საშუალებები გამოიყენოს, ამ პროცესის მიმართ შენიშვნებს გამოთქვამს.

აუცილებელია ბანკების მუშაობის გაუმჯობესება. მათ უნდა შეუქმნან საწარმოებს სამუშაოდ ინფრასტრუქტურა. ბანკებისა და საწარმოთა ხელმძღვანელები კი ვერ მიეჩვიენ ახალ პირობებში მუშაობას. მაგალითად, არ ვიყენებთ სესხის გამოტანისას აქციების გირაოდ ჩადების საშუალებას. საწარმოები ისევ შეღავათიან სესხებს ელოდებიან სახელმწიფოსგან. პრივატიზაციის ის შედეგი კი, რომ შენ საწარმოს ბატონ-პატრონი ხარ და მის ასამუშავებლად შეგიძლია სხვადასხვა მეთოდებს მიმართო, გამოუყენებელი რჩება.

ბატონმა მინისტრის მოადგილემ პრივატიზაციის ეფექტიანობის შემასუსტებელ კიდევ ერთ ფაქტორს გაუსვა ხაზი. ეს არის აქციათა გაყიდვისწინა სამუშაოების არასრულფასოვნად ჩატარება, რაც იწვევს იმას, რომ ზოგიერთი თავისთავად მიმზიდველი საწრმოს აქციების ნაწილი გაუყიდავი რჩება. აღნიშნული სამუშაოები კი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას ყველასთვის, ვინც შეიძლება დაინტერესდეს საწარმოთი. მართალია, მუშაობს „ფაბლიკ რილეიშენის" სამსახური, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ მხრივ, უდიდესია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი.

ხანდახან ბრალს გვდებენ ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევაში, — თქვა ემირ ჭუღელმა, — თითქოს ჩვენთან ზოგჯერ არ არის დაცული საიდუმლოობა აქციათა შეძენის პროცესში. ამ საკითხის მოსაგვარებლად შემოვიღეთ კონვერტების სისტემა, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, დაფარონ, რომელი აქციის შეძენა სურთ. ჩვენ გვინდა, სუფთა ხელებით ვიმუშაოთ. ამიტომ მივმართავ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამსახურებს თანამშრომლობისთვის, რომ ჩვენთან რაიმე დარღვევას, უკანონობას არ ჰქონდეს ადგილი.

შემდეგ ბატონი ჭუღელი „ყვითლების" მოღვაწეობას შეეხო და მათ მცდელობას, შეაჩერონ პრივატიზაცია, არარეალური უწოდა. მან პრივატიზაციის წინააღმდეგ წასვლა, მაგალითისთვის, მიზიდულობის ძალის აკრძალვას შეადარა.

პრივატიზაციის შემფერხებელ მოვლენებზე საუბრის შემდეგ მინისტრის მოადგილემ ოპტიმისტურ ნოტას მოუხმო და თქვა, რომ ეს პროცესი საკმაოდ დინამიურია და ზაფხულის შემდეგ უფრო აქტიურად წარიმართება.

რესპუბლიკის საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელი სააუქციონო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ ბატონმა გუგა აბაშიძემ უფრო კონკრეტულად — ციფრებით ილაპარაკა მეორე აუქციონის შედეგებზე და აღნიშნა, რომ აქ აქციათა მაღალი კურსი დაფიქსირდა — საშუალოდ 20 აქცია ერთ ვაუჩერზე.

ამოძრავდნენ საინვესტიციო ფონდები. თუ პირველ აუქციონში ერთი ასეთი ფონდი მონაწილეობდა, მეორეზე მათი რიცხვი 4-მდე გაიზარდა. თანაც, დაფიქსირდა მათი ვაუჩერების სხვადასხვა ობიექტებზე გადანაწილება — თითქმის ყველა საწარმოზე შეიტანეს ერთი ვაუჩერი მაინც.

შემდეგ ქუთაისისა და თბილისის რეგიონული ცენტრების მენეჯერებმა ისაუბრეს რეგიონებში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესების შესახებ. აღნიშნა, რომ შესამჩნევია აქტივობის გაზრდა. თუმცა, როგორც თბილისის რეგიონული ცენტრის მენეჯერმა ბატონმა ნუგზარ შაყულაშვილმა აცნობა ჟურნალისტებს, ამას ვერ ვიტყვით კახეთისა და სამხრეთ საქართველოს რეგიონებზე. ნ.შაყულაშვილმა ამის რამდენიმე მიზეზი დაასახელა, მათ შორის ის, რომ იქაური მოსახლეობა ელექტროენერგიის უქონლობის გამო ინფორმაციას ვერ იღებს. სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის პასიურობის მთავარ მიზეზად კი ის მიიჩნია, რომ არაქართული მოსახლეობა არ ენდობა ჩვენს ხელისუფლებას. ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამის შემდეგ პასუხი გაეცა ჟურნალისტთა შეკითხვებს, რომლებშიც ისევ წამოტივტივდა მოტყუებულ მეანაბრეთა ვაუჩერებით „დაწყნარების" თემა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, არის თუ არა ეს ხალხის მოტყუება და ზედმეტი ვაუჩერების გამოშვება ხომ არ გამოიწვევს მისი ფასის დაცემას.

ბატონმა ჭუღელმა პასუხად აუდიტორიას აცნობა, რომ გამოშვებულ ვაუჩერთა რაოდენობა (6 მილიონზე მეტი) ისედაც სჭარბობს პრივატიზაციაში მონაწილეობისთვის აღრიცხულ მოქალაქეთა რიცხვს (4 მილიონ 800 ათასი). ასე რომ, ზედმეტი ვაუჩერების გამოშვება რეალურად უარყოფითად არაფერზე იმოქმედებს. ამასთან, სავარაუდოა, რომ აღრიცხულთაგან ყველა არ მიიღებს პრივატიზაციაში მონაწილეობას. ზედმეტი ვაუჩერები კი, უბრალოდ, განადგურდება, ისე, როგორც ეს სომხეთში მოხდა.

— თუმცა, მეანაბრეთა დაკმაყოფილების ამ გზას პირადად მე არ ვეთანხმები, — დასძინა ემირ ჭუღელმა.



თბილისის განათლების სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული მასწავლებელი ვალერიან ლეონტის ძე ლაგვილავა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნორა ჩიქოვანი, შვილები ირინე, თემური, და ოლია, ძმა ვახტანგი, შვილიშვილები გოგა, ნინი, დათი, ანანო, რძლები — დოდო გიგოლაშვილი, ნაზიკო გუნცაძე, ნასტია მოსიძე, ლოლა გუნიავა, ცოლისდა მარო ჩიქოვანი, სიძეები გიორგი გორგოძე, ნოე საყვარელიძე, მძახლები, ძმისშვილები, დისშვილი, ცოლის ძმისშვილები, მოყვრები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### სიმონ იოსების ძე უკლება

პანაშვიდი 24-25 აგვისტოს, 5 საათზე.
დაკრძალვა 26 აგვისტოს 4 საათზე.

მისამართი: გოგებაშვილის მე-3 შესახვევი, I ჩიხი № 5.

მართლაც რომ კაცურად იცხოვრა და ილვაწა ჯოტო გუგუჩიამ.

რა არ ნახა, რა არ განიცადა ამა სოფლად.

ქმნიდა და, კი არ ტკბებოდა შექმნილით, ახალს ეძებდა, ისეთს, ხალხსაც რომ წაადგებოდა და ქვეყანასაც.

თაობებს ზრდიდა და აკვალიანებდა ეს ტარიელ გოლუასავით კაცი; მთელი არსებით უყვარდა ახალგაზრდები და ისინიც უფასებდნენ ამაგს.

მუდამ იქ ტრიალებდა, სადაც ქვეყნის ბედზე ბჭობდნენ და ფიქრობდნენ.

აგერ, ახლახანს გვეწვია პარტიის შტაბბინაში და ბევრი რამ სასიკეთო გვირჩია, თანადგომა და უანგარო სამსახურიც აღგვითქვა.

მაგრამ...

არ დაგვცალდა თანამშრომლობა, უდროო დროს უღალატა გულმა.

და ჩვენც გულისტკივილით ვემშვიდობებით კაცს, ვის ნაკვალევზე სიარულიც არავის დაეძრახება.

საქართველოს სოციალისტური პარტია

## პრობლემა

# უსინათლოთა პრობლემების მოგვარება რეგიონალურ მმართველობასთან კეთილმოსურნე დამოკიდებულების გარეშე ვერ მოხერხდება

რეფორმების გზით დინამიკური ეკონომიკური სისტემის შექმნა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება და მისი ინტერესების შერწყმა-თანხვედრა ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებთან და სახელმწიფოს სოციალურ მიზნებთან, ჩვენი ქვეყნის სტაბილური გარემოს ჩამოყალიბების პოსტულატი უნდა გახდეს.

საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბარი პირობების და შესაძლებლობების შექმნა — სამართლიანი გადანაწილების მექანიზმის რეალურად ამუშავების უმთავრესი წინაპირობაა.

ჩვენ რეალისტები ვართ და კარგად ვაცნობიერებთ, რომ მაღალხარისხოვანი სოციალური პოლიტიკა და საყოფაცხოვრებო გარანტიები წარმოების განვითარებით და ეროვნული დოვლათის შექმნით მიიღწევა. ჩვენ კი, ჩერჩეტობით, ღარიბნი ვართ და გასანაწილებელიც არაფერია.

ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ, კრიმინოგენული სამყაროს პოლიტიზირებამ და კანონის უზენაესობის უარყოფამ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას რომ მძიმე დაღი დაამჩნია, არავისთვის უცხო არაა და ამის შესახებ ყველამ კარგად ვიცით.

დღეს სოციალური გაჭირვების ფონზე, განსაკუთრებით უნუგეშო იმ ადამიანთა ყოფიერებაა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მათ შორის, არსებობის, საქმიანობის უფლება, ძალაუნებურად ზღვარში მოექცა. თავის დროზე, მორალურად მხნე, საწარმოებში დასაქმებული ინვალიდი ადამიანები სარგებლობდნენ სოციალური სიკეთეებით, არა როგორც მოწყალებით, არამედ იღებდნენ იმას, რაც საკუთარი შრომით და მოღვაწეობით შესძინეს სახელმწიფოს და საზოგადოებას.

თავდაპირველად უსინათლოთა საზოგადოება უსინათლო ადამიანების შენატანებით დაარსდა. სადღეისოდ საზოგადოება ხუთი ათას I და II ჯგუფის უსინათლოს აერთიანებს. საზოგადოებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ოცდახუთამდე საკუთარი სასწავლო-საწარმო წამოწყება, დასასვენებელი სახლები აქვს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როცა საწარმოების ნედლეულით მომარაგება ცენტრალიზებულად ხდებოდა, უსინათლოთა კუთვნილი საწარმოების მოგებიდან მიღებული თანხებით აშენდა მრავალი შენობა-ნაგებობა, მათ შორის: კანის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკა, მცირემხედველთა სკოლა, პიონერთა სახლი კრწანისის რაიონში, სოცუზრუნველყოფის სამინისტრო და სხვა.

სასწავლო-საწარმო წამოწყებებში დასაქმებულ უსინათლოთა შრომითი ანაზღაურება მათი სოციალური მოთხოვნილების დონეს, მეტ-ნაკლებად, აკმაყოფილებდა და შრომაში ჩაბმულ უსინათლოს ოჯახის რჩენის უნარიც შესწევდა და დასვენების უფლებაც ჰქონდა, განურჩევლად მისი ადგილისა საზოგადოებაში, იგი უზრუნველყოფილი იყო თანაბარი ხარისხის სოციალური მომსახურებით.

5-6 წლის წინ საწარმოებში დასაქმებულთა 2700 უსინათლოდან დღეს საწარმოებს ამ ციფრის 10 პროცენტიღა თუ შემორჩა, რომელთა უმრავლესობაც დეცენტრალიზაციის, მძიმე ენერგოკრიზისის პირობებში საწარმოს ფინანსური გაჭირვების გამო, იძულებით უხელფასო შვებულებაშია.

უსინათლოთა საზოგადოებას ჰუმანიტარულ დახმარებას, ნაწილობრივ, საქართველოში მოქმედი ჰუმანიტარული ორგანიზაციები უწევენ. ზოგიერთმა უსინათლომ — მცირემხედველმა დღეს ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, ზოგიც სოფლის მეურნეობას ეწევა.

წვრილი ბიზნესი, როგორც დღეს ქუჩებში გამოფენილ „სანახაობებს" უწოდებენ, მოვა დრო და უფრო ცივილიზებულ ფორმას მიიღებს. მაშინ ბაზრების თუ მეტროს სადგურების შესასვლელებთან სახელდახელოდ გაშლილ დახლებთან მოვაჭრე ინვალიდები ცარიელ-ტარიელნი ქუჩაში აღმოჩნდებიან და იძულებულნი თბილისის ქუჩებში სამათხოვროდ ხელგამოწვდილთა მრავალრიცხოვან არმიას შეუერთდებიან.

უსინათლოთა სოციალურ სილატაკეს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის მაისის დადგენილებაც დაერთო — მეორე ჯგუფის ინვალიდებს ტრანსპორტით უფასოდ გადაადგილების უფლება შეუწყდათ. მიზეზი ერთი და ცალსახაა — სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, მხოლოდ თბილისში მცხოვრები 28 ათასი ინვალიდის ტრანსპორტით უფასო მომსახურება უზრუნველყოს.

უსინათლო ადამიანთა სოციალური პრობლემის მოგვარება გლობალური საკითხია და მეტ გულისყურს და მზრუნველობას მოითხოვს. უსინათლოთა ბედით დაინტერესებულნი საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და პრეზიდიუმის წევრებს გავესაუბრეთ.

გიორგი ჰუმბურიძე — უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პირველი ჯგუფის ინვალიდი:

„ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება თანდათანობით სტაბილური ხდება, რაც საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, უცხოელი პარტნიორების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

ამერიკის „დემოკრატიის და განვითარების ფონდმა" ჩვენთან პარტნიორობის სურვილი გამოთქვა — ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ფონიჭალაში უსინათლოთა საზოგადოების ორი საწარმოს ასამუშავებლად ამერიკელები, ჰუმანიტარული დახმარების სახით, ერთ მილიონ დოლარს ჩადებენ, საწარმოში ასამდე მუშახელს — უსინათლოს დაასაქმებენ, იზრუნებენ უსინათლოთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. გვპირდებიან, რომ აამუშავებენ საქვაბეს. საწარმოში ვაწარმოებთ მინის ქილის თუნუქის ხუფებს, წებო „ემულსიას", პოლიეთილენის ფირებს, რომელსაც ზამთარში უსინათლოთა ბინების დასათბუნებლად გამოვიყენებთ.

ამერიკელი პარტნიორები თვითონვე შეისყიდიან ნედლეულს, იზრუნებენ საწარმოს ეფექტურად მუშაობაზე, მაგრამ აქვე დავძენ, რომ მათ არც მოგების პროცენტი მიაქვთ და არც აქციის მონაწილენი ხდებიან. ამერიკელების მიერ ჩადებული თანხა უპროცენტო სესხია, რომელიც დაბრუნებას საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შემთხვევაში ექვემდებარება. ვალის გადამხდელი, ამ შემთხვევაში, რათქმა უნდა, თავად უსინათლოთა საზოგადოებაა და არა, სახელმწიფო".

მთავრობამ უცხოელი ინვესტორების შემოთავაზებას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. სახელმწიფოს მეთაურთან ამერიკელ ინვესტორთა შეხვედრის შემდეგ, იმედია, დაუყოვნებლივ დაიწყება პროექტის განხორციელება. ფონიჭალაში მცხოვრები სამასამდე უსინათლო მოუთმენლად ელის საწარმოს ამოქმედებას.

„უსინათლოთა საზოგადოების ქონება, კერძო საკუთრების უფლებით, ეკუთვნის ამავე საზოგადოებას და მისი ერთადერთი განმკარგავია უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი, რომელიც ახდენს ამ უფლების ნაწილის დელეგირებას ადგილობრივ გამგეობაზე", — ნათქვამია საზოგადოების წესდების ზოგად დებულებაში. ამიტომ, საზოგადოების კუთვნილი ქონება პრივატიზაციას არ ექვემდებარება, ფაქტობრივად, უკვე პრივატიზებულია.

სადღეისოდ, უსინათლოთა კუთვნილი საწარმოები მთელი სიმძლავრის 10 პროცენტის დატვირთვით თუ მუშაობს, სადაც უმნიშვნელო რაოდენობის უსინათლოა დასაქმებული. საწარმოების ცალკეული უბნების ამოქმედებას მძიმე ენერგოკრიზისიც ერთვის. ზოგიერთი ბიუროკრატიული უწყება ისედაც უსახსროდ დარჩენილ საწარმოებს, მეტად მძიმე კაბალურ მდგომარეობაში აგდებს.

რამდენიმე ხნის წინ, ქუთაისის სასწავლო-საწარმო წამოწყება ადგილობრივმა საგადასახადო ინსპექციამ მიდიარდზე მეტი კუპონით დაბეგრა. საწარმოს დირექციამ, უკანონოდ მითვისებული თანხის დასაბრუნებლად, არაერთგზის მიმართა ქალაქის მერიას, მაგრამ...

რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის უფროსმა დავით სალარიძემ უსინათლოთა სატკივარი გულთან მიიტანა და გასცა განკარგულება უკანონოდ წაღებული თანხის საწარმოსთვის დაბრუნებაზე. საგადასახადო სამსახურის ზოგიერთ მუშაკს შევახსენებთ, რომ პარლამენტმა ახლახანს მიიღო კანონი ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ. ამ კანონის 32-ე მუხლის თანახმად, ინვალიდთა კუთვნილი საწარმოები სახელმწიფო ბეგარისგან მთლიანად გათავისუფლდა.

მცხეთის სასწავლო-საწარმო წამოწყებას ელექტროქსელის უწყებამ გახარჯული ელექტროენერგიის საფასური, გაურკვეველი მიზეზების გამო, ნაცვლად 20 მილიონი კუპონისა, 320 მილიონი კუპონი გადაახდევინა. წარმოების ხელმძღვანელობამ აქაც არაერთგზის მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას უკანონოდ მითვისებული 300 მილიონი კუპონის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ...

წელიწადზე მეტია, რაც იმავე მცხეთის საწარმოში არ მუშაობს სატელეფონო ქსელი, გადასახადს კი ახდევინებენ. ამ ფაქტის შესახებ არაერთხელ ეცნობა შესაბამის უწყებას.

სახელმწიფო სტრუქტურათა ფუნქციონირებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბიუროკრატიული მექანიზმი მძიმე ტვირთად აწევს საწარმოთა ხელმძღვანელებს. საწარმოების ასამუშავებლად პარტნიორების და გზების ძიების ნაცვლად, წარმოების ხელმძღვანელები ლამის გრაფომანებად იქცნენ, შესაბამის ინსტანციებში კი მათ მხოლოდ წერილობით დაპირებებს აძლევენ, ან ხშირ შემთხვევაში, დუმილს ამჯობინებენ.

საწარმოების ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძვირადღირებული დაზგა-დანადგარები ამდენ ომსა და უბედურებას გადაურჩა.

რამდენიმე ხნის წინ მცხეთის სასწავლო-საწარმო წამოწყება დაათვალიერა სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულმა მცხეთა-თიანეთის რეგიონში ბატონმა შალვა ოგბაიძემ. მართალია, რწმუნებული საწარმოს მუშაობით არ აღფრთოვანებულა, მაგრამ გამოთქვა კმაყოფილება, რომ საწარმო გაუძარცვავი, გადარჩენილი და ხელუხლებლადაა შემონახული.

სიმონ გოგიძე — პრეზიდიუმის წევრი:

„ჩვენ მადლიერნი ვართ საწარმოების ხელმძღვანელობის, რომლებმაც ყველა ღონე იხმარეს საწარმოების გადასარჩენად. თუკი მცხეთის რაიონში დღეს დაზგა-დანადგარები ხელუხლებლადაა შემონახული, ეს საწარმოს ხელმძღვანელის — ნოდარ ყუბანეიშვილის დიდი დამსახურებაა.

ჩვენ ყველას ვთხოვთ, ვისაც შესაძლებლობა აქვს, დაგვეხმაროს უპროცენტო სესხით, წარმოების დირექტორი შეიძენს ნედლეულს და პროდუქციის შეკვეთასაც მიიღებს. მიმაჩნია, რომ აუცილებელია რეგიონის და საწარმოს ხელმძღვანელობას შორის ურთიერთთანამშრომლობა, რაც სამომავლოდ ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს".

აბესალომ ქაჯაია — პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

„სულ ცოტა ხნის წინ, მცხეთის სასწავლო-საწარმო წამოწყების ხელმძღვანელს, ამერიკელთა სახელით, ორგანიზაცია „კურაციოს" წარმომადგენლებმა რაღაც წინადადების პაკეტი შესთავაზეს. ამ შემთხვევაში, შუამავალს უშუალოდ უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმისთვის, როგორც საწარმოს მეპატრონისთვის, ჩვენთვის უნდა მოემართა, რომელიც საზოგადოების წესდების თანახმად, უფლებამოსილია საზოგადოების სახელით დადოს ხელშეკრულება, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

მცხეთა-თიანეთის გუბერნატორმა, ბატონმა შალვა ოგბაიძემ პირადი საუბრისას საწარმოს ასამუშავებლად დახმარებაც აღგვითქვა. ბატონი შალვა კარგად იცნობს ფონიჭალაში მიმდინარე პროცესებს და ეჭვიც არ მეპარება, რომ უსინათლოთა საზოგადოების და უცხოელ ინვესტორთა თანამშრომლობის ერთ-ერთი ინიციატორიცაა".

არაერთხელ მომხდარა, როცა ადგილობრივი მმართველობა უხეშად ჩარეულა უსინათლოთა საზოგადოების კუთვნილი საწარმოების მუშაობაში. ზოგიერთები საზოგადოების კუთვნილ ქონებას სახელმწიფო კუთვნილებად მიიჩნევენ ხოლმე და ხშირად საკუთარ უფლებამოსილებებსაც აჭარბებენ.

„საზოგადოებაში მცხეთის ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელთა ხუთკაციანი ჯგუფი გვეწვია, რომელმაც საფუძველს მოკლებული, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი პროგრამა წარმოგვიდგინა. მათ საკითხი ცალსახად და ღიად დაგვისვეს — ან დროულად აამუშავებთ საწარმოს, ან არადა, ჩვენ ხალხს მოვიყვანთ, რომლებიც შეძლებენ საწარმოს ამოქმედებასო. პრეზიდიუმმა სტუმრები დაარწმუნა, რომ საზოგადოების კუთვნილ საწარმოებში უკანონო გზით შეჭრა ყოვლად დაუშვებელია", — ბრძანა აბესალომ ქაჯაიამ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდების თანახმად, „უსინათლოთა პირველადი ორგანიზაციის ადგილობრივი გამგეობა საწარმოს ქონების და სახსრების განკარგვის უფლებას კონტრაქტით გადასცემს დირექტორს, რომელსაც ამტკიცებს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი".

მთავრობამ, უსინათლოთა საზოგადოების თხოვნით, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებს დაავალა, საზოგადოებისთვის სათანადო ყურადღება მიექციათ.

„ჩვენთვის მთავარია ხალხის საწარმოში დასაქმება, პროდუქციის შექმნა და გასაღება, რაც, ვფიქრობ, ადგილობრივ მმართველობასთან კეთილმოსურნე დამოკიდებულების გარეშე ვერ მოხერხდება.

სადღეისოდ მცხეთის საწარმო 10 პროცენტის სიმძლავრით მუშაობს, უშვებს მზა პროდუქციას: ანჯამებს, დეკორატიულ ჩაჩს. სულ მალე მინების დაბურვის საამქროც ამუშავდება. ამჟამად საწარმოში უსინათლოთა მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული. დარწმუნებულნი ვართ, რომ მცხეთის საწარმოს დირექტორი, ჩვენი თანადგომით და დახმარებით, ძალ-ღონეს არ დაიშურებს და ჩვეული შემართებით შეძლებს საწარმოს ფეხზე დაყენებას. მთავარია, ყველამ თავის საქმე აკეთოს, შრომას გადაჩვეული ხალხი საწარმოს დავუბრუნოთ და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში მცირედი წვლილი ჩვენც შევიტანოთ", — განაცხადა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ.

გარდამავალ ეკონომიკურ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა მუდმივად იწვევდა საშინელ კონფრონტაციას. ამიტომ, სახელმწიფომ, ნაწილობრივ მაინც, სოციალური გარანტის ფუნქცია უნდა გააძლიეროს, სოციალური გარანტის მოქმედი სისტემა უნდა ჩამოაყალიბოს.

არ გვინდა სახელმწიფო ხავსივით მოლალატე და სუსტი აღმოჩნდეს ამ ადამიანებისთვის. თანაგრძნობა, გულისხმიერება და დარწმუნებულნი ვართ, გზა ხსნისა გამოჩნდება.

თუკი სითბოთი მოვეკიდებით, ეს ადამიანები მოახერხებენ, რომ ტვირთად არ დააწ[...] საზოგადოებას. მათი ძლიერი ხელები, დაუღალავი ენერგია მტკი[...] კალაპოტს ითხოვს მხოლოდ...

**დიანა ბაბროშვილი**
**ხათუნა რეხვიაშვილი**

---

# რესპუბლიკის პარლამენტს, სახელმწიფოს მეთაურს, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს — ყველას, ვისაც ეხება და გული შესტკივა ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე, მათ შვილებზე!

მოგმართავთ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სახელით, იმ ოჯახებისა, რომლებიც დღეს ყველაზე მეტადაა ტრავმირებული და ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია.

ჩვენი შვილები უმამოდ უნდა გაიზარდონ. ყველა ერის სურვილია, ჰყავდეს ჯანსაღი მომავალი თაობა, რომელიც შეცვლის წინაპრებს და დაიცავს მათ დანატოვარს.

დაღუპული მეომრების ოჯახებს სახელმწიფომ 3 მილიონი კუპონი დაუნიშნა. ბავშვი რომ 8 წლის ხდება, დედას პენსია ეხსნება. რატომ მიიჩნიეს, რომ 9-10 წლის ბავშვს უფრო ნაკლები სჭირდება, ვიდრე 5-6 წლისას?!

შესანიშნავად გვესმის, რომ სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვები ვერ დაელოდებიან ქვეყნის ეკონომიკის აყვავებას.

ვთხოვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, გადახედონ სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ კანონებს. გაითვალისწინონ სამშობლოს დაცვისთვის დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური და ეკონომიკური პირობები, პრობლემები და სათანადო უწყებებს დაავალონ ამ საკითხების შესწავლა და მოგვარება.

გუდაუთაში აფხაზები თავიანთი დაღუპული მებრძოლების ძეგლის დადგმას აპირებენ. ჩვენთან კი ბევრი გმირის საფლავი დღესაც დაუმთავრებელია.

როგორ ვასწავლოთ ჩვენ შვილებს სამშობლოს სიყვარული, თუ მათი მამების თავგანწირვა და სიკვდილი ფუჭი და დაუფასებელი აღმოჩნდა?! ხშირად გვესმის, რომ აფხაზეთში ომი წავაგეთ, სისხლის ღვრა უაზრო იყო. დრო გამოაჩენს ტყუილ-მართალს და ვისი შეცდომა იყო ეს ომი, მაგრამ იმ ბიჭებისთვის, ვინც იქ სამუდამო სასუფეველი ჰპოვა, ეს ომი არც წაგებულია და არც მოგებული. ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ და სამშობლოს შეეწირნენ.

ჩვენ, საქართველოს ქვრივები — გავერთიანდით, რათა უკვდავვყოთ და პატივი მივაგოთ დაღუპულ მეომართა სახელებს, დავეხმაროთ დაობლებულ ბავშვებს. არ დავუშვებთ, რომ შეილახოს გმირების სახელები და მცირე ერების მჩაგვრელებად შერაცხონ ისინი.

ამ წერილით მივმართავთ აგრეთვე ყველა იმ ძალოვან სტრუქტურას, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს.

განა შეიძლება ყოველი ჰუმანიტარული დახმარების მიღებისას (რაც ახე იშვიათად ხდება და ყველას არც კი ყოფნის) თავს დამცირებულად და მათხოვრად გრძნობდე?

ჩვენ არც იმ ყურადღებას და დახმარებას ვივიწყებთ, რომელიც ჩვენს მიმართ სახელმწიფო საწარმო კოოპერატივ „კოლხეთი-90"-ის თავმჯდომარემ ნუგზარ კახაიამ, ფირმა „TBC"-ს პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ, მაკარონის ფაბრიკის დირექტორმა გიორგი სიხარულიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ჯემალ ჰუმბურიძემ, გენერალმა ვლადიმერ ჩიქოვანმა, გელა ლანჩავამ და, რა თქმა უნდა, დეპუტატმა, პროფესორმა ჯაბა იოსელიანმა გამოიჩინეს ქვრივთა ასოციაციის მიმართ. ბატონი ჯაბა დღესაც არ ტოვებს უყურადღებოდ თავისი დაღუპული მეომრების ოჯახებს.

სახელმწიფოს მეთაური ყოველ გამოსვლაში თუ ინტერვიუში, როცა ამ თემას ეხება, დიდი პატივისცემით მოიხსენიებს დაღუპულ გმირებს, მაგრამ მის სიტყვებს, ეტყობა, ჯეროვნად ვერ აღიქვამენ და საკმარისად არ მიიჩნევენ ბევრნი.

პარლამენტარებო, სახელმწიფოს მეთაურო, მოგმართავთ ყველას — უმრავლესობასაც და ოპოზიციასაც, გამოიჩინეთ მზრუნველობა და დახმარების ხელი გამოგვიწოდეთ, რომ ჩვენმა ობოლმა შვილებმა ნაკლებად იგრძნონ მამების ადრე დაკარგვის სიმწარე, იგრძნონ სახელმწიფოს, საზოგადოების თანადგომა.

საქართველოს ქვრივთა საერთაშორისო ასოციაციის სახელით:

დიანა არველაძე, ნანი ჯლამაძე, თამარ ჰიპაშვილი, მერი შანავა, მარინა ბაიდაშვილი, სვეტა ნუცუბიძე, ნანა მაისურაძე, მანანა ჟვანია, ლალი დარსაველიძე და სხვები.

სულ 160 ხელმოწერა.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება საქართველოს ქვრივთა საერთაშორისო ასოციაცია.

მისამართი: შარტავას ქ.№7 „შრომის სასახლე", მე-13 სართული.

ანგარიშის ნომერი:

სააქციო კომერციული ბანკი — „რეკონსტრუქციის და განვითარების რუსულ-ქართული ბანკი" 880010

ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32

ტელ.ფაქსი 93-26-10

კუპონებში ა/ა №000 700 701

საკორესპონდენტო ანგარიში №000 161 954

კოდი თბილისში 220 101 054

**პროკურატურასა და შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევის და გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი რამაზ ქლენტი საუბრობს უცხოელ მოქალაქეებზე თავდასხმის, ჰუმანიტარული ტვირთების დატაცების, უხარისხოდ ჩატარებული გამოძიების, პოლიციელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტულ ფაქტებზე.**

# სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შუქ-ჩრდილები

— ბატონო რამაზ, ბოლო ხანს საქართველოში სტაბილიზაციის ტენდენცია შეიმჩნევა. ამას კმაყოფილებით აღნიშნავენ საერთაშორისო ექსპერტები. სასიკეთო ცვლილებებს საქართველოს მოქალაქეებიც გრძნობენ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სასიხარულოა თუნდაც იმიტომ, რომ რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცება ქმნის წინაპირობას, რომ უფრო აქტიურად მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები, უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს ჰუმანიტარულმა დახმარებამ, საზღვარგარეთი რომ გვიწევს. ამავე დროს, სამწუხაროდ, იმის კონსტატირებაც გვიხდება, რომ იმატა უცხოელ მოქალაქეებზე თავდასხმებმა, სულ უფრო ხშირად იტაცებენ ჰუმანტარული გზით შემოსულ ტვირთებსაც.

— უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად მოიმატა უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ფაქტებმა, ასევე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოსული ტვირთების ხელყოფამ, რაც ართულებს კრიმინოგენულ მდგომარეობას, ამწვავებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას და საქართველოში მათ შემდგომ მოღვაწეობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

უსაფრთხოების გარანტიის გარეშე მრავალი მათგანი უარს აცხადებს ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის შემოტანაზე და ინვესტიციების დანერგვაზე, რასაც ქვეყნისთვის, მოგეხსენებათ, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

წარმოდგენილი პრობლემების გადაწყვეტა და მოწესრიგება ბევრად არის დამოკიდებული სამართალდამცავი ორგანოების მიზანმიმართულ საქმიანობაზე, სისხლის სამართლის საქმეთა ოპერატიულ და ხარისხიან გამოძიებაზე. დარწმუნებით, სასიკეთო ძვრები ამ მხრივ აშკარად გამოიკვეთა და თუ საზოგადოების მხარდაჭერა გვექნა, ერთიანი ძალისხმევით სასურველ შედეგს მივაღწევთ.

— ბატონო რამაზ, ნუ გეწყენთ და, მოსახლეობას მოსწყინდა ზოგადი მსჯელობები კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებაზე, მოსწყინდა ზოგადი დაპირებებიც. კარგად ვიცით, რომ სამართალდამცავი ორგანოები გულხელდაკრეფილი არ არიან და ყველაფერს აკეთებენ საქართველოში წესრიგის დასამყარებლად. იქნებ, რამდენიმე კონკრეტული ფაქტი მოგვეყვანათ ამის საილუსტრაციოდ.

— მოგახსენებთ, რა კეთდება ამ მიმართულებით. უპირველესად აღვნიშნავ, რომ დასახელებული კატეგორიის ფართო რეზონანსის მქონე არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება კვალიფიციურად ჩატარდა და დამნაშავე პირები დაისაჯნენ.

ამერიკელი დიპლომატის ფრედ ვუდრუფის განზრახ მკვლელობა, რომელიც ავტომატიდან გასროლით თბილისი-ნატახტარის ტრასაზე ჩაიდინა ვინმე ა.შარმაიძემ, მიუხედავად მრავალი სირთულისა, დროულად გაიხსნა და სამ თვეში დამთავრდა საქმეზე გამოძიება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პროკურატურის გამოცდილ გამომძიებელს ბატონ ოთარ ჯაფარიძეს;

შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა შემჭიდროებულ ვადაში დაამთავრა გამოძიება: ხევსურიანის, ომარაშვილის, ჭაუტიძის და სხვათა ბრალდების საქმეზე, რომლებიც ყაჩაღურად დაესხნენ თავს რუსეთის საელჩოს თანამშრომლებს. გამოძიების პერიოდში დადგენილია, რომ ხსენებულ პირთა ჯგუფს სხვა მძიმე დანაშაულებიც ჰქონდა ჩადენილი.

გასული წლის ივნისში, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე, ავტომატებით შეიარაღებულები: გოგოხია, ჩანგელია, ლუკავა და შამუგია თავს დაესხნენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ავტომანქანებს, რომლებსაც ლტოლვილებისთვის მიჰქონდათ ჰუმანიტარული დახმარება. იარაღის მუქარით გაიტაცეს ათი ტონა პურის ფქვილი. დანაშაული ოპერატიულად გაიხსნა. შემთხვევის დღესვე დააკავეს ეჭვმიტანილები, გამოძიება შემჭიდროებულ ვადაში დამთავრდა და დამნაშავეთა მიმართ დროულად იქნა გამოტანილი ობიექტური განაჩენი;

1995 წლის იანვარში ვინმე მიქელაძემ ჯერჯერობით დაუდგენელ პირთან ერთად გაიტაცა ამერიკის საელჩოს თანამშრომლის ჯ.ბარქსის ავტომანქანა. ეს საქმე დროულად გაიხსნა, ორ თვეში დამთავრდა გამოძიება და დღეს დამნაშავე სასჯელს იხდის;

ჩუღურეთის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილში დამთავრდა გამოძიება თ.ფირცხალავას მიმართ, რომელმაც ქირურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან გაიტაცა ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული დიდი ოდენობით მედიკამენტები. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო დამთავრებულია და ფირცხალავას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

მთაწმინდის რაიონის სასამართლოს განაჩენით ასატუროვს და მუსაბიევს სასჯელის ზომად ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ თურქეთის საელჩოს მუშაკზე შუაშიდ ჩედინზე ყაჩაღური თავდასხმისთვის. ამ შემთხვევაში გამოძიება კვალიფიციურად წარიმართა და კანონით გათვალისწინებულ ვადაში დამთავრდა.

ორ თვეში დასრულდა გამოძიება რუსთავის ვაჭრობის სამართველოს საქონელმცოდნის დ.გოლუბიანის მიმართ, რომელმაც ჰუმანიტარული გზით შემოსული 1374 კილოგრამი კარაქი გაიტაცა.

კვალიფიციურად გამოძიების წარმოების სხვა არაერთი ფაქტის მოტანა შეიძლება, მაგრამ ჩვენი უმთავრესი მიზანი ის გახლავთ, რომ უფრო მეტად წარმოვაჩინოთ ნაკლოვანი მხარეები, რაც ხელს უწყობს და განაპირობებს არსებულ არასახარბიელო შედეგებს.

— სასიამოვნოა ყოველივე ამის მოსმენა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გამოძიება ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს და დანაშაული ხშირად გაუხსნელი რჩება.

— მრავლადაა ფაქტები, როცა გამომძიებელთა მხრიდან გადაუდებელი საგამოძიებო-ოპერატიულ ღონისძიებათა ჩაუტარებლობა და საგამოძიებო მოქმედებების შეუსრულებლობა დანაშაულის გაუხსნელობას და საქმის სასამართლო პერსპექტივის დაკარგვას იწვევს.

თავის მხრივ, პოლიციის ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელები თუ პროკურორებიც არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, რაც, ძირითადად, განაპირობებს უარყოფით შედეგებს;

არასრულყოფილად და უხარისხოდ ჩატარებული გამოძიების შემდეგ, 1994 წელში გაუხსნელობის მოტივით შეჩერებული ჰქონდათ: თბილისი სამგორის რაიონში აეროპორტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მატოტჟიასის დაყაჩაღების, ვაკის რაიონში მოსაშვილის ქუჩაზე საერთაშორისო წითელი ჯვრის ადმინისტრატორის ჰკნაურის ბინის ქურდობის, ვაკის რაიონში ჩიქოვანის ქუჩაზე ირანის ელჩის მოადგილის ა.ელყობის ავტომანქანის გატაცების, ფალიაშვილის ქუჩაზე გაეროს კუთვნილი ავტომანქანის გაძარცვის, ბარნოვის ქუჩიდან ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლის პირადი ნივთების გატაცების, საბურთალოს რაიონში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გერმანელი მოქალაქეების დაყაჩაღების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები.

ქალაქის პროკურატურამ ყველა დასახელებულ ფაქტზე გააუქმა საქმეთა წარმოების შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და გამოძიება განაახლა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებაზე სისტემატური კონტროლია საჭირო, თორემ შემოწმებიდან შემოწმებამდე პერიოდულ ზედამხედველობას, როგორც შედეგებიდან ჩანს, სასურველი ეფექტი არ მოაქვს.

ისეთ ფაქტებსაც ვხვდებით, როცა დანაშაული აშკარაა და, მიუხედავად ამისა, საქმე შეწყვეტილია უკანონოდ.

1994 წლის 5 აგვისტოს, შინაგან საქმეთა ლენტეხის რაიონის საგამოძიებო ჯგუფში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ამავე რაიონის სკოლა-ინტერნატის საწყობიდან ჰუმანიტრაული ტვირთის დატაცების ფაქტზე.

დადგენილია, რომ რამდენიმე პირმა (მათი ვინაობა ცნობილია) ძალით შეაღწია საწყობში და ყოველგვარი განაწილების გარეშე დაიტაცა ტვირთი, შემდგომში მოხერხდა დატაცებული ტვირთის ნაწილობრივ დაბრუნება.

ისეთ ფაქტებსაც ვხვდებით, როდესაც ჩადენილი დანაშაულის შემდეგ საქმე აღიძვრება დიდი დაგვიანებით, რაც მას სასამართლო პერსპექტივას უკარგავს.

ნიჰილიზმმა, კორუფციამ, დაუსჯელობის სინდრომმა, სამწუხაროდ, სამართალდამცავი ორგანოების რიგებშიც მოიკიდა ფეხი, და მხოლოდ თანმიმდევრული, შეურიგებელი პოზიციის გატარებით თუ შევძლებთ ამ მავნე მოვლენის დაძლევას.

— რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, არის ფაქტები, როდესაც ასეთი სახის დამნაშავეები ზოგ შემთხვევაში პოლიციის ორგანოებშიც აღწევენ. ქვეყნისთვის კი ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს.

— განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, როდესაც პოლიციელი, რომელსაც სამსახურებრივად ევალება უწესრიგობის აღკვეთა, თავად ჩადის დანაშაულს. ბევრი ასეთი დამნაშავე გამოვლენილია და პასუხისგებაშია მიცემული.

გურჯაანის რაიონის შს განყოფილების პოლიციელმა გ.ჯადუგაშვილმა, ასრულებდა რა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, იცავდა გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოს, ქვით ჩაამტვრია ფანჯრის მინა, შეაღწია სახადილოში, საიდანაც გაიტაცა 175 ყუთი რძის ფხვნილი. საქმეზე გამოძიება დამთავრდა: გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

1994 წლის 26 ივნისს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი თბილისის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი კ.მესხი თავის ცოლისძმასთან ნ.სამხოევთან ერთად თავს დაესხა თურქეთის მოქალაქეს ნ.დიმირჯიზს, რომელსაც იარაღის მუქარით წაართვეს ფული და საბუთები. საქმეზე გამოძიება დაამთავრა თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ, განაჩენი გამოტანილია.

1994 წლის 28 ნოემბერს, ფოთის რკინიგზის ობიექტების დაცვის პოლიციელებმა დ.გადილიამ, ფ.ქობულიამ, გ.გადილიამ, ბ.გვასალიამ, ნ.ბებიამ და ფირმა „პონტოს“ დარაჯმა გ.ჩალიგავამ ფოთის რკინიგზის სადგურში მდგარი ვაგონიდან ფარულად დაიტაცეს გერმანიიდან ჰუმანიტარული დანიშნულებით გამოგზავნილი 180 ტომარა პურის ფქვილი. ზარალმა 4 მილიარდ 874 მილიონი კუპონი შეადგინა, რომლის ნაწილი გამოძიების დროს ამოღებულია. დამნაშავეთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაშია. და კიდევ ერთი ფაქტი. 1995 წლის 7 თებერვალს ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიიდან გასამხედროებული დაცვის ცვლის უფროსმა ი.მატკავამ ფარულად გაიტაცა სომხეთის რესპუბლიკისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი (1600 ლიტრი ზეითუნის ზეთი). საქმეზე გამოძიება დამთავრდა და განსახილველად სასამართლოშია წარდგენილი.

— ბატონო რამაზ, ჩვენ ვისაუბრეთ იმ საქმეებზე, რომლებიც გაიხსნა და გამოძიებაც დროულად ჩატარდა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში გამოძიება ჭიანურდება და დასრულებული არ აქვს. ეს კი გაუთავებელი მითქმა-მოთქმისა და, ზოგჯერ, საკმაოდ საფუძვლიანი დაეჭვების საბაბიც ხდება. რას გვეტყოდით ამ პრობლემაზე?

— გეთანხმებით, რომ ხსენებული კატეგორიის მთელ რიგ საქმეებზე ჭიანურდება წინასწარი გამოძიება და უსაფუძვლოდ გრძელდება საპატიმრო და საგამოძიებო ვადები.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

1994 წლის 13 აპრილს რუსთავის შს საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №2 ბავშვთა პოლიკლინიკიდან ჰუმანიტარული დახმარების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე, რომელშიც მხილებულნი არიან მთავარი ექიმი ნუნუ ხიმშიაშვილი და სანიტარული სპეციალიზირებული ავტოკოლონის მძღოლი გივი გირგაული. გამოძიება დღემდე ჭიანურდება. ამჟამად საქმე წარმოებაში აქვს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენს და, იმედია, უახლოეს დროში მიიღებენ გადაწყვეტილებას.

1994 წლის 25 მაისს საქართველოს რესპუბლიკის შსს მთავარ საგამოძიებო სამმართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს თანამდებობრივი და ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მ.დარხანიასა და სხვათა მიმართ 48 000 დოლარამდე ღირებულების დანაკლისის ფაქტზე.

გამოძიება აღნიშნულ საქმეზე დღემდე გრძელდება.

მცხეთის რაიონის პროკურატურის წარმოებაში — [illegible] სამართლის საქმე სოცუზრუნველყოფის თანამშრომელთა მიმართ, მათ 1994 წლის სექტემბერში ჰუმანიტარული დახმარების სახით რაიონში შემოიტანეს სხვადასხვა პროდუქტი, რომელთა ნაწილის დატაცებაში გამოძიების მიერ მხილებულნი არიან რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ნ.კალანდაძე და საწყობის გამგე დახლანიშვილი. ხსენებული საქმე 1994 წლის 18 დეკემბერს აღიძრა. მიუხედავად საქმის არცთუ დიდი სირთულისა, გამოძიება დღემდე მიმდინარეობს და პერიოდულად ხდება მისი უსაფუძვლოდ შეჩერება.

გარდა რუსთავის №2 ბავშვთა პოლიკლინიკის მაგალითისა, სადაც დატაცებული იქნა ბავშვებისთვის გამოყოფილი საკვები, კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა ჯანმრთელობის მუშაკები ჩადიან ანალოგიურ დანაშაულს, ავადმყოფებისთვის გამოყოფილ პროდუქტებს თვითონ ითვისებენ.

რკინიგზის ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფო 1992-1994 წლებში იღებდა ჰუმანიტარულ ტვირთებს, რაც უნდა განაწილებულიყო ავადმყოფებზე. საავადმყოფოს ხელმძღვანელები, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ჰუმანიტარულ ტვირთს თანამშრომლებზე ანაწილებდნენ — 71 ყუთი ტკბილეულიდან და 32141 სხვადასხვა დასახელების პროდუქტიდან ავადმყოფებზე არ იქნა გაცემული 64 ყუთი ტკბილეული. გარდა ამისა, მიჩქმალული იქნა 610 კგ პროდუქტებისა და 64 ყუთი ტკბილეულის დანაკლისი. ამასთან, გამოვლინდა პირადი მოტივებით სახელმწიფო ქონების უკანონოდ გასხვისების ფაქტებიც.

— ბატონო რამაზ, ეს საკითხები თქვენ გაიტანეთ რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიაზე, რომელზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, ორიოდე სიტყვით რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— დიახ, კოლეგიაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, ამასთან, წარდგინება გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მტკიცედ მწამს, ეს საკითხები მკაცრად იქნება განხილული და მოხდება მათი პრინციპული შეფასება, ქვემდგომ პროკურორებს დაევალათ, ხსენებული კატეგორიის ყოველ საქმეზე უშუალოდ დააწესონ კონტროლი და უზრუნველყონ სრულყოფილი გამოძიება.

ვფიქრობთ, ყველა სასამართლო განხილვის შედეგი ფართოდ უნდა გაშუქდეს პრესაში.

სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული ტვირთის უმეტესობა არ აიღება შემოსავალში, არ ხდება მათი რეგისტრაცია და რაოდენობრივი აღრიცხვა ბუღალტერიაში, არ ხდება ტვირთის დაცვა, რაც ქმნის ხელშემწყობ პირობებს ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული საქონლის გაფლანგვა-დატაცებისთვის.

აუცილებელია, ცვლილებები შევიდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომ კომერციულ სტრუქტურებში აიკრძალოს ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტების გასაყიდად შეტანა და გაყიდვა, რადგან ეს პროდუქცია და მედიკამენტები უფასო გაცემისთვის არის განკუთვნილი.

პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წესრიგის დამყარებას ამ მიმართულებით.

მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი ქვეყანა XXI საუკუნეში შეაბიჯებს როგორც მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთი ღირსეული წევრი. საამისოდ კი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ისე ვებრძოლოთ ბოროტების ყოველგვარ გამოვლინებას.

ესაუბრა
ლევან ადეიშვილი

# სერიოზული ჰობი — ქართველოლოგია

**24 ივლისიდან 25 აგვისტომდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პირველ კორპუსში მუშაობდა ქართველოლოგიური სკოლა-სემინარი უცხოელი ახალგაზრდებისთვის. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, რომლის დირექტორია პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, საპატიო პრეზიდენტი — აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.**

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის შექმნის კონკრეტულ წანამძღვრებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მოვლენები: 1975 წლიდან დაწყებული იტალიასა და საქართველოში რეგულარულად ტარდება ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1987 წელს — პირველი, ხოლო 1988 წელს მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი გაიმართა; 1990 წელს კი ამავე ბაზაზე ჩატარდა პირველი ქართველოლოგიური სკოლა-სემინარი უცხოელთათვის.

მოვლენების განვითარება და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების სურვილი ყოველივე ამისთვის უფრო ორგანიზებული სახის მიცემის საჭიროებას ცხადყოფდა. ამგვარად, 1992 წელს, ბატონი ელგუჯა ხინთიბიძის ინიციატივითა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა მუდმივმოქმედი ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო ერთეული.

ცენტრის მიერ გამოცემულ პროსპექტში — ამ ორგანიზაციის სავიზიტო ბუკლეტში — ასეა ჩამოყალიბებული მისი არსი, მიზნები და ამოცანები:

„ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი მოწოდებულია ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა თანამეგობრობაში ჩართვას, ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას და ქართველოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო დისციპლინად დამკვიდრებას. იგი დახმარებას გაუწევს ამ დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებსა და მეცნიერებს...

ცენტრი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმების ჩატარებასა და მასალების ბეჭდვას.

ცენტრი რეგულარულად გამოსცემს ქართველოლოგიურ საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ ჟურნალს ინგლისურ ენაზე; მოამზადებს და დაბეჭდავს ქართული ენის დამხმარე სახელმძღვანელოებს და თვითმასწავლებლებს უცხოელთათვის; შეადგენს და გამოსცემს ქართველოლოგიურ მეცნიერებათა პროსპექტებს უცხოურ ენებზე; უცხოურ ენებზე თარგმნის და გამოსცემს ქართველოლოგიურ სამეცნიერო-ფუნდამენტურ ლიტერატურას; ხოლო უცხოურ ქართველოლოგიურ ლიტერატურას — ქართულ ენაზე"...

ამ სერიოზულ, ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ასპარეზზე თვითდამკვიდრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებათა გარდა ცენტრი კისრულობს უცხოელთათვის საზაფხულო სკოლა-სემინარების მოწყობას. სწავლების ეს ფორმა ითვალისწინებს მეცადინეობებს ქართულ ენასა და ქართველოლოგიის ძირითად დარგებში. კონტინგენტის მოწვევა შემდეგნაირად ხდება: ცენტრს საკუთარი წარმომადგენლები ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ვენეციის უნივერსიტეტში — ლუიჯი მაგაროტო, ბერლინში — შტეფი იუნგერ-ხოტივარი, ჩიკაგოში — დოდონა კიზირია და ა.შ. ეს ქართველოლოგები თავიანთ სასწავლებლებში სპეციალურ ჯგუფებს ქართულ ენას ასწავლიან. ცენტრის ხელმძღვანელები პირველ რიგში სწორედ მათ უკავშირდებიან და საზაფხულო სკოლა-სემინარის სტუმრებიც, ძირითადად, მათი სტუდენტები არიან. ცენტრს აქვს სხვა ქართველოლოგთა კოორდინატებიც. ამას გარდა, განცხადებები მიეწოდება უცხოურ გამოცემებს. მაგალითად სკოლა-სემინარის შესახებ ინფორმაციები გამოაქვეყნეს იუნესკომ, ბიზანტიოლოგთა საზოგადოების ჟურნალმა და სხვა.

საზაფხულო სკოლა-სემინარის მუშაობა გრძელდება ერთ თვეს. არსებობს შესაბამისი სასწავლო პროგრამა. ამას გარდა, გათვალისწინებულია ინდივიდუალური კონსულტაციები, სპეცკურსები და პრაქტიკული მეცადინეობები ქართული ენითა და ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთათვის მათთვის მისაღებ დროს.



პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე საზაფხულო სკოლა-სემინარის სტუმრებთან ერთად

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სწავლების ამ ფორმას ქართველოლოგიურმა ცენტრმა პირველად 1990 წელს მიმართა. მაშინ საზაფხულო სკოლა-სემინარზე 16 სხვადასხვა ქვეყნიდან 58 უცხოელი ჩამოვიდა. სამწუხაროდ, შემდგომი წლების საქართველოში ხარბაზნების განუწყვეტელი ქუხილის გამო, შეუძლებელი შეიქნა, ამ ღონისძიებას ტრადიციულის სახელი მოეპოვებინა.

მაგრამ, როგორც კი საშუალება გაჩნდა, ქართველოლოგიურმა ცენტრმა საზაფხულო სკოლა-სემინარის აღდგენა გამოაცხადა. წელს, ვინაიდან მთავარი მნიშვნელობა სწორედ სასწავლებლის აღდგენის ფაქტს ენიჭებოდა და ამის შესახებ გადაწყვეტილებაც ზაფხულამდე სულ ორი თვით ადრე მიიღეს, ქართველოლოგიურმა ცენტრმა მოწვევის მიმართვები მხოლოდ საკუთარ წარმომადგენლებს გაუგზავნა. უცხოეთიდან ოთხი სტუდენტი ჩამოვიდა — გერმანელი პაულ მოირერი, ნორვეგიელები ინგუნ ლუნდე და კარი ეკენ სტრომენი და ბასკი რობერტო სერანო.

* * *

პაულისა და ინგუნისთვის საქართველო ბედნიერების ქვეყანაა. მათ პირველ ქართველოლოგიურ საზაფხულო სკოლა-სემინარზე გაიცნეს ერთმანეთი და შემდეგ დაქორწინდნენ. კარი ეკენ სტრომენმა ნორვეგიიდან დეპეშა მიიღო და იძულებული გახდა, ვადაზე ადრე დაბრუნებულიყო სამშობლოში. ქალბატონი ინგუნ ლუნდე (რუსული ენისა და ლიტერატურის დოქტორანტი), ბატონი პაულ მოირერი (მათემატიკოსი) და ბატონი რობერტო სერანო (ბასკური ენის პედაგოგი) კი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოვინახულეთ და ორიოდე სიტყვით გავესაუბრეთ, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე.

— როდის დაინტერესდით პირველად საქართველოთი და კონკრეტულად რომელ საკითხებზე მუშაობთ

პაულ მოირერი: ქართული ენით 5 წლის წინ დავინტერესდი. საერთოდ, ლინგვისტიკა მაინტერესებს. კონკრეტულად — ლექსიკოლოგია. საქართველოში მესამედ ვარ. პირველად 5 წლის წინ ვიყავი — საზაფხულო სკოლა-სემინარზე. ახლა გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე ვმუშაობ. არსებობს ერთი ძალიან კარგი დიდი ქართულ-გერმანული ლექსიკონი. მისი ინვერსიის გაკეთებას ვაპირებ.

ინგუნ ლუნდე: ქართული ენის სწავლა დავიწყე ხუთი წლის წინ პირველ საზაფხულო სკოლა-სემინარეზე. ახლა უკვე მეოთხედ ვარ საქართველოში. მაინტერესებს ადრინდელი საეკლესიო ისტორია და ლიტერატურა, ბიზანტიური ლიტერატურისა და ისტორიის გავლენა სხვა ქვეყნებზე. რა თქმა უნდა, ძველი ქართული ლტერატურა ძალიან მნიშვნელოვანია.

რობერტო სერანო: მე მაინტერესებს ენის სტრუქტურა.

— რამდენად პოპულარულია ქართველოლოგია თქვენს ქვეყანაში?

ინგუნ ლუნდე: ნორვეგიაში იყო დიდი ქართველოლოგი ჰანს ფოგთი, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა... სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს ქართული ენის კათედრა...

პაულ მოირერი: გერმანიაში ქართველოლოგიას დიდი ტრადიცია აქვს. ახლა რამდენიმე უნივერსიტეტში ასწავლიან ქართულს და კვლევითი სამუშაოებიც მიმდინარეობს. მაგალითად, ბონში, მიუნხენში, იენაში...

— თქვენთვის ქართველოლოგია ჰობია თუ პროფესია?

პაულ მოირერი: ჰობია, მაგრამ — სერიოზული ჰობი.

ინგუნ ლუნდე: ჩემთვისაც სერიოზულია, მაგრამ, სამწუხაროდ, პროფესია არ არის.

რობერტო სერანო: ახლა ჰობია, მაგრამ არ ვიცი, მომავალში შეიძლება პროფესია გახდეს.

— გულწრფელად მითხარით, კმაყოფილი ხართ თუ არა სკოლაში შექმნილი პირობებით?

ინგუნ ლუნდე: ყველაფერი ძალიან კარგია. ძალიან კარგი გაკვეთილებია, საინტერესო ექსკურსიებია შაბათ-კვირას...

რობერტო სერანო: კმაყოფილი ვარ. ყველაფერი კარგია. ღვინო კარგია...

— აპირებთ კონტაქტების გაგრძელებას საქართველოსთან?

პაულ მოირერი: ეს აუცილებელია. ბევრი მეგობარის მყავს საქართველოში. ძალიან საინტერესო და სტუმართმოყვარე ქვეყანაა. თავს აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ. მე დაბრუნებას ვაპირებ. ჯერ არ ვიცი, როდის იქნება, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები.

* * *

საქართველო, ალბათ, არასოდეს ყოფილა უხეირო მასპინძელი. სტუმრები არც ამჯერად აჭარბებდნენ. მიუხედავად მოსამზადებელი პერიოდის სიმცირისა, უცხოელებს სკოლა ღირსეულად დახვდა. სემინარის მუშაობის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: სტუდენტები ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, მეცადინეობდნენ ქართულ ენაში (პედაგოგები — თამარ მახარობლიძე და ცირა ჩიკვაიძე); ისმენდნენ უცხოურენოვან ლექცია-საუბრებს ქართველოლოგიის ძირითად დარგებში, რომელთაც უძღვებოდნენ ცნობილი ქართველოლოგები: [illegible] თამაზ გამყრელიძე, მზექალა შანიძე, [illegible] ზიანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, [illegible] რამ სარჯველაძე, იოსებ ჟორდანია, [illegible] ფანიძე; სტუმრები ეცნობოდნენ საქართველოს სახელმწიფო, ხელოვნების, ეთნოგრაფიულ მუზეუმებს და ქართველ ხელოვანთა სახლ-მუზეუმებს; დასვენების დღეებში ეწყობოდა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში...

რა თქმა უნდა, ჩვენ სტუმართაგან მადლიერების გადახდას არ ვითხოვთ. მადლობა თვითონ იმ ფაქტს ახლავს, რომელიც ხდება. ეს არის ქართული კულტურის და მეცნიერების, ქართული ფენომენის მსოფლიოსთვის გაცნობა, საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, რასაც მიზნად ისახავს საზაფხულო სკოლა-სემინარი, რასაც, მთლიანად, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი ემსახურება.

**ზაზა ბიბილაშვილი**

ეკონომიკა

# კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ

საქართველოს ეკონომიკა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო წინაპირობები, მიმდინარეობს ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია. მნიშვნელოვანწილად მიღწეულია პოლიტიკური და ფინანსური სტაბილიზაცია.

ჰუმანიტარული დახმარებების ხანგრძლივი ციკლი დასრულდა. მთელი ძალისხმევა, სადღეისოდ, ქვეყნის პრიორიტეტული და პერსპექტიული დარგების განვითარებისკენაა მიმართული, მაგრამ საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემების დაძლევა უცხოური კაპიტალის დახმარების გარეშე შეუძლებელია. ბევრი ბიზნესმენისთვის საქართველო თავისი ბუნებრივი პოტენციალით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით მიმზიდველი ქვეყანაა, ისინი მზად არიან პარტნიორობისთვის, მაგრამ ნებისმიერ უცხოელ საქმოსანს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სტაბილიზაცია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების საკანონმდებლო ბაზა აინტერესებს.

დასავლეთის ექსპერტების რეკომენდაციების და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების კანონმდებლობის შეჯერებით, ეკონომიკურ საკითხთა საპარლამენტო კომისიამ შეიმუშავა და მიიღო კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ". კანონის მიზანია, შექმნას უცხოური კაპიტალის მოზიდვის და დაბანდების ხელსაყრელი პირობები.

24 აგვისტოს პარლამენტის შენობაში საგარეო ურთიერთობათა ქვეკომისიამ პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრაზე ითქვა, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ" კანონს სრულყოფილი იურიდიულ-საკანონმდებლო ბაზა არეგულირებს. მეწარმეთა, საკუთრების, საგადასახადო სისტემის, იჯარის, ეროვნული ბანკის შესახებ მიღებული კანონების მოქმედება განსაზღვრავს უცხოური კაპიტალბრუნვის განვითარების პროცენტს.

მიწის შესახებ კანონს, რომლის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია, უცხოელი ინვესტორებისთვის კი უმნიშვნელოვანესი საკითხია, მიწის ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარა აკომპენსირებს.

უცხოელ ინვესტორებს ენიჭებათ უფლებათა ვრცელი სპექტრი. საინვესტიციო საქმიანობაში ყველა ინვესტორი თანაბარია. საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და იურიდიული პირები და უცხოელი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ.

უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, კომპენსაციის სახით აინაზღაუროს ზარალი მორალური ზიანის ჩათვლით. კომპენსაცია ხდება იმ ვალუტით, რომლითაც განხორციელდა ინვესტიცია. უცხოური ინვესტიციებით მიღებული შემოსავალი, მოგება და ფულადი სახსრები შეიძლება რეინვესტირებული იქნას საქართველოში.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად კანონით გათვალისწინებულია ხელშეწყობის და შეღავათების სისტემა. მთელი რიგი შეღავათები დაბეგვრაში, ლიცენზიების გაცემაში, ლიცენზიებთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ უცხოური ინვესტიციების ლიცენზირება განპირობებულია ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი ფინანსური დარღვევების და ჩრდილოვანი ბიზნესის საქმიანობის შეზღუდვისთვის.

უცხოელ ინვესტორთა საკუთრების უფლება დაცულია. ინვესტიციების ნაციონალიზაცია აკრძალულია. რეკვიზიცია მხოლოდ კანონის დაცვით განხორციელდება — ინვესტორისთვის სამართლიანი და ეფექტური კომპენსირებით. რეკვიზიციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კანონს „უცხოური ინვესტიციების შესახებ" უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის.

ყველანი ერთნი იყვნენ მოსაზრებაში, რომ კანონს ბევრი ხარვეზი აქვს, თუმცა პრაქტიკაში აპრობირების შემდეგ კანონი თანდათან დაიხვეწება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის — ნოდარ ჯავახიშვილის აზრით, კანონის ერთ-ერთი დიდი ნაკლია უცხოელი ინვესტორების მნიშვნელოვანი უპირატესობების იურიდიულად დაკანონება. „თითქმის ყველა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების კანონი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის მეწარმეთა ინტერესებს ითვალისწინებს და კანონმდებლობა მათ უპირატესობებს აფიქსირებს. საქართველოში კი პირიქით მოხდა, აღნიშნული კანონი უცხოელ ინვესტორებს უკეთეს პირობებს უქმნის, ვიდრე ქართველ მეწარმეებს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის ფაქტორი, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უცხოელები ზედმეტი პრივილეგიების გარეშე თავს იკავებენ კონტაქტებისგან. ამიტომ ჩვენ ერთგვარად ქართველ მეწარმეთა დისკრიმინაციულ კანონს ვიღებთ". — ბრძანა ნოდარ ჯავახიშვილმა.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ: თემურ [illegible]შვილი, ნოდარ ჯავახიშვილი, მევლუდ ნიკლაური, ზ[illegible] [illegible]დრიაძე, იოსებ სარიაშვილი, რამაზ საყვარელიძე.

**ეკა ჩაჩავაძე**

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №2 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგები

**შენიშვნა:** გამარჯვებული განაცხადის შემთხვევაში, განაცხადის ნომერი უნდა ემთხვეოდეს ქვითარში მითითებული განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და პუნქტის ნომერს

| საწარმოს დასახელება | განაცხადის რეგისტრაციის № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| ტუმრო ,,აჭარა“ | 1 | 2000 | 18 000 |
| | 3 | 2000 | 45 |
| | 44 | 01 | 450 |
| | 68 | 01 | 90 |
| | 79 | 01 | 225 |
| | 97 | 01 | 72 900 |
| | 3 | 03 | 135 |
| | 13 | 03 | 1 350 |
| | 12 | 08 | 45 |
| | 28 | 08 | 90 |
| | 9 | 10 | 6 345 |
| | 25 | 10 | 450 |
| | 2 | 32 | 90 |
| | 1 | 46 | 135 |
| | 1 | 48 | 900 |
| | 2 | 48 | 180 |
| | 5 | 58 | 450 |
| რისტალი | 26 | 01 | 1 260 |
| | 61 | 01 | 84 |
| | 75 | 01 | 84 |
| | 90 | 01 | 8 400 |
| | 113 | 01 | 168 |
| | 135 | 01 | 84 |
| | 156 | 01 | 924 |
| | 167 | 01 | 10 500 |
| | 168 | 01 | 10 500 |
| | 8 | 03 | 11 340 |
| | 10 | 03 | 10 542 |
| | 11 | 03 | 9 618 |
| | 10 | 10 | 17 010 |
| | 11 | 10 | 12 978 |
| | 12 | 10 | 8 400 |
| | 14 | 10 | 17 010 |
| | 19 | 10 | 12 768 |
| | 32 | 10 | 2 100 |
| | 33 | 10 | 2 100 |
| ლეჩხუმი | 36 | 10 | 151 875 |
| კამშენი | 2 | 08 | 104 104 |
| | 11 | 08 | 44 |
| ავტოტრანსსისტემა | 8 | 01 | 41 |
| | 24 | 01 | 1 230 |
| | 169 | 01 | 5 617 |
| | 170 | 01 | 410 |
| | 171 | 01 | 1 804 |
| | 172 | 01 | 5 617 |
| | 174 | 01 | 15 580 |
| | 176 | 01 | 1 804 |
| | 177 | 01 | 1 804 |
| განთიადი | 76 | 01 | 90 |
| | 39 | 10 | 119 610 |
| კამვოლნართი | 23 | 01 | 310 |
| | 193 | 01 | 93 000 |
| | 41. | 10 | 33 480 |
| მეტალი | 2 | 03 | 15 340 |
| | 5 | 03 | 4 914 |
| | 7 | 08 | 14 040 |
| კოლხეთი | 7 | 04 | 53 200 |
| ქუთაისის ლითოგრაფიის ქარხანა | 134 | 01 | 90 |
| | 4 | 58 | 135 |
| | 7 | 58 | 675 |
| მუხა | 21 | 01 | 216 |
| 36 | 01 | 96 234 | |
| თბილქიმფარმი | 110 | 01 | 31 590 |
| | 138 | 01 | 78 |
| | 1 | 10 | 38 805 |
| | 3 | 10 | 24 180 |
| | 4 | 10 | 24 219 |
| | 5 | 10 | 24 180 |
| | 6 | 10 | 76 050 |
| | 7 | 10 | 30 225 |
| | 8 | 10 | 24 258 |
| | 27 | 10 | 390 |
| | 35 | 10 | 39 |
| საქართველოს შაქრის კ-ტი | 108 | 01 | 200 900 |
| | 133 | 01 | 82 |
| | 154 | 01 | 4 059 |
| | 32 | 08 | 11 070 |
| | 1 | 36 | 123 |
| | 2 | 36 | 205 |
| | 3 | 58 | 82 |
| ფარდაგი | 64 | 01 | 23 320 |
| ნავთობპროდუქტი | 141 | 01 | 3 800 |
| | 30 | 10 | 38 000 |
| | 4 | 47 | 38 |
| თბ.ორგანთერაპ.პრეპარატ.ქ-ნა | 7 | 01 | 40 |
| | 28 | 01 | 300 |
| | 145 | 01 | 7 400 |
| | 191 | 01 | 13 410 |
| | 19 | 03 | 1 100 |
| | 6 | 05 | 7 680 |
| | 23 | 08 | 2 700 |
| კედარი | 4 | 08 | 30 100 |
| ტანომეტრი | 3 | 08 | 19 135 |
| | 24 | 10 | 430 |
| აისბერგი | 132 | 01 | 76 |
| | 3 | 05 | 228 000 |
| | 26 | 08 | 76 |
| | 27 | 08 | 76 |
| | 22 | 10 | 380 |
| ალექო | 1 | 11 | 58 910 |
| ბილელი | 20 | 01 | 220 |
| | 102 | 01 | 14 960 |
| | 106 | 01 | 20 240 |
| თბილოფინი | 4 | 01 | 88 |
| | 22 | 01 | 110 |
| | 29 | 01 | 76 274 |
| | 49 | 01 | 44 |
| | 99 | 01 | 66 |
| | 116 | 01 | 29 920 |
| | 122 | 01 | 66 |
| | 131 | 01 | 44 |
| | 144 | 01 | 22 |
| | 1 | 08 | 7 788 |
| | 9 | 08 | 35 852 |
| | 21 | 10 | 220 |
| [illegible] | 160 | 01 | 1 560 |
| | 163 | 01 | 819 |
| | 164 | 01 | 819 |
| | 165 | 01 | 166 |

| საწარმოს დასახელება | განაცხადის რეგისტრაციის № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 179 | 01 | 9 711 |
| | 180 | 01 | 9 360 |
| | 181 | 01 | 5 265 |
| იბეროტექსი | 178 | 01 | 16 200 |
| | 183 | 01 | 10 800 |
| | 184 | 01 | 21 600 |
| | 185 | 01 | 13 500 |
| | 186 | 01 | 13 500 |
| | 187 | 01 | 21 600 |
| | 189 | 01 | 10 800 |
| ქარავანი | 123 | 01 | 52 245 |
| ოადონი | 66 | 01 | 18 348 |
| | 69 | 01 | 18 392 |
| | 70 | 01 | 39 600 |
| | 130 | 01 | 88 |
| | 4 | 03 | 44 |
| საქკაბელი | 2 | 45 | 13 |
| | 3 | 45 | 30 901 |
| | 4 | 45 | 130 |
| | 5 | 45 | 52 |
| | 6 | 45 | 6 214 |
| | 6 | 47 | 27 300 |
| | 7 | 47 | 26 910 |
| ეგრისი | 2 | 01 | 21 |
| | 15 | 01 | 315 |
| | 149 | 01 | 1 260 |
| | 150 | 01 | 1 260 |
| | 151 | 01 | 1 260 |
| | 152 | 01 | 1 260 |
| | 162 | 01 | 8 715 |
| | 166 | 01 | 10 920 |
| | 173 | 01 | 6 552 |
| | 182 | 01 | 6 552 |
| | 18 | 03 | 3 990 |
| | 20 | 08 | 21 |
| | 31 | 08 | 11 340 |
| ბიზნესცენტრი სოფშენი | 17 | 01 | 231 |
| | 18 | 01 | 198 |
| | 108 | 01 | 68 838 |
| | 153 | 01 | 4 455 |
| | 175 | 01 | 18 117 |
| რექტიფიკატი | 1 | 01 | 1 400 |
| | 33 | 01 | 9 233 |
| | 78 | 01 | 14 070 |
| | 80 | 01 | 9 254 |
| | 125 | 01 | 5 740 |
| | 127 | 01 | 623 |
| | 142 | 01 | 10 080 |
| | 20 | 08 | 700 |
| | 21 | 08 | 700 |
| | 25 | 08 | 1 911 |
| | 15 | 10 | 1 890 |
| | 18 | 10 | 70 |
| | 1 | 39 | 700 |
| | 2 | 39 | 1 239 |
| | 3 | 39 | 602 |
| | 4 | 39 | 280 |
| | 5 | 39 | 70 |
| | 6 | 39 | 161 |
| | 7 | 39 | 175 |
| | 8 | 39 | 140 |
| | 9 | 39 | 238 |
| | 10 | 39 | 105 |
| | 11 | 39 | 28 |
| | 12 | 39 | 28 |
| | 13 | 39 | 35 |
| | 14 | 39 | 259 |
| | 15 | 39 | 140 |
| | 16 | 39 | 140 |
| | 71 | 01 | 46 012 |
| | 23 | 10 | 440 |
| სოხისების ქარხანა | 5 | 01 | 95 |
| | 9 | 01 | 57 |
| | 27 | 01 | 570 |
| | 48 | 01 | 38 |
| | 87 | 01 | 190 |
| | 121 | 01 | 38 |
| | 129 | 01 | 38 |
| | 8 | 08 | 20 900 |
| | 1 | 62 | 19 |
| ოპიზარი | 72 | 01 | 2 014 |
| | 157 | 01 | 380 |
| | 38 | 10 | 16 340 |
| | 1 | 47 | 38 |
| | 2 | 47 | 38 |
| | 3 | 47 | 38 |
| ფოთის წისქვილქარხანა | 4 | 2000 | 4 400 |
| | 11 | 01 | 11 |
| | 13 | 01 | 34 716 |
| | 92 | 01 | 11 |
| | 93 | 01 | 22 |
| | 95 | 01 | 11 |
| | 98 | 01 | 11 |
| | 101 | 01 | 13 365 |
| | 126 | 01 | 11 |
| | 136 | 01 | 33 |
| | 147 | 01 | 41 580 |
| | 5 | 05 | 11 880 |
| | 15 | 08 | 7 425 |
| | 17 | 10 | 165 |
| | 31 | 10 | 22 |
| | 34 | 10 | 22 |
| | 3 | 16 | 11 |
| | 1 | 21 | 11 |
| | 2 | 41 | 11 |
| | 1 | 46 | 11 |
| | 2 | 46 | 11 |
| | 3 | 46 | 11 |
| | 4 | 46 | 11 |
| | 5 | 46 | 11 |
| | 6 | 46 | 11 |
| | 1 | 50 | 22 |
| | 1 | 52 | 55 |
| | 8 | 58 | 33 |
| | 9 | 58 | 6 600 |
| | 10 | 58 | 2 431 |
| | 11 | 58 | 1 485 |
| | 12 | 58 | 8 118 |
| ბაჟითი | 1 | 55 | 135 |
| გაჟი | 19 | 01 | 175 |

| საწარმოს დასახელება | განაცხადის რეგისტრაციის № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 54 | 01 | 29 750 |
| | 73 | 01 | 70 |
| | 74 | 01 | 29 750 |
| | 77 | 01 | 350 |
| | 112 | 01 | 105 |
| | 6 | 03 | 315 |
| | 9 | 03 | 280 |
| | 3 | 04 | 105 |
| | 4 | 04 | 210 |
| | 2 | 05 | 70 |
| | 16 | 08 | 9 450 |
| | 29 | 10 | 350 |
| საქქალაქმშენი | 100 | 01 | 54 |
| | 188 | 01 | 6 588 |
| | 6 | 08 | 21 870 |
| | 37 | 10 | 47 385 |
| საუფლისწულო მამული | 12 | 01 | 6 |
| | 14 | 01 | 2 |
| | 25 | 01 | 60 |
| | 46 | 01 | 2 |
| | 47 | 01 | 2 |
| | 50 | 01 | 4 |
| | 51 | 01 | 400 |
| | 52 | 01 | 400 |
| | 53 | 01 | 300 |
| | 58 | 01 | 300 |
| | 63 | 01 | 20 |
| | 104 | 01 | 1 080 |
| | 114 | 01 | 2 |
| | 120 | 01 | 2 |
| | 190 | 01 | 3 742 |
| | 192 | 01 | 10 260 |
| | 17 | 08 | 1 204 |
| | 18 | 08 | 768 |
| | 19 | 08 | 1 350 |
| | 30 | 08 | 308 |
| სასტუმრო ,,ივერია | 42 | 01 | 430 |
| | 59 | 01 | 43 |
| | 67 | 01 | 86 |
| | 109 | 01 | 87 075 |
| | 111 | 01 | 156 735 |
| | 159 | 01 | 1 720 |
| | 1 | 03 | 43 |
| | 1 | 06 | 215 |
| | 13 | 08 | 43 |
| | 20 | 10 | 430 |
| | 1 | 32 | 86 |
| | 6 | 58 | 430 |
| რუსთავცემენტი | 2 | 2000 | 45 |
| | 5 | 2000 | 18 000 |
| | 16 | 01 | 45 |
| | 32 | 01 | 225 |
| | 34 | 01 | 90 |
| | 35 | 01 | 90 |
| | 43 | 01 | 135 |
| | 60 | 01 | 180 |
| | 65 | 01 | 135 |
| | 86 | 01 | 450 |
| | 91 | 01 | 45 |
| | 94 | 01 | 45 |
| | 96 | 01 | 135 |
| | 105 | 01 | 109 350 |
| | 140 | 01 | 135 |
| | 143 | 01 | 45 |
| | 146 | 01 | 450 |
| | 148 | 01 | 225 |
| | 155 | 01 | 4 275 |
| | 16 | 03 | 135 |
| | 5 | 04 | 225 |
| | 6 | 04 | 31 320 |
| | 16 | 10 | 24 300 |
| | 28 | 10 | 450 |
| | 5 | 47 | 45 |
| ინტერტრანსსერვიზი-საზღვ.ვაჭრ. | 88 | 01 | 114 |
| | 107 | 01 | 15 390 |
| | 139 | 01 | 38 |
| | 161 | 01 | 190 |
| | 14 | 03 | 5 130 |
| | 15 | 03 | 3 800 |
| | 17 | 03 | 6 840 |
| | 14 | 08 | 26 220 |
| | 24 | 08 | 2 565 |
| | 29 | 08 | 38 |
| | 26 | 10 | 190 |
| | 1 | 41 | 19 |
| ფასანაური | 89 | 01 | 16 900 |
| | 13 | 10 | 3 510 |
| | 40 | 10 | 2 600 |
| გარდაბანი | 3 | 01 | 135 |
| დეკა | 137 | 01 | 88 |
| | 7 | 03 | 44 |
| | 2 | 10 | 42 020 |
| საქქალაქმშენპროექტი | 6 | 01 | 90 |
| | 10 | 01 | 90 |
| | 30 | 01 | 180 |
| | 31 | 01 | 45 |
| | 37 | 01 | 270 |
| | 38 | 01 | 1 350 |
| | 39 | 01 | 225 |
| | 40 | 01 | 135 |
| | 41 | 01 | 1 350 |
| | 45 | 01 | 900 |
| | 55 | 01 | 225 |
| | 56 | 01 | 1 125 |
| | 57 | 01 | 900 |
| | 62 | 01 | 225 |
| | 81 | 01 | 1 800 |
| | 82 | 01 | 1 800 |
| | 83 | 01 | 3 150 |
| | 84 | 01 | 270 |
| | 85 | 01 | 90 |
| | 115 | 01 | 900 |
| | 117 | 01 | 225 |
| | 118 | 01 | 45 |
| | 119 | 01 | 90 |
| | 124 | 01 | 90 |
| | 128 | 01 | 135 |
| | 5 | 08 | 36 450 |
| | 22 | 08 | 1 800 |

ემზარ კვიტაიშვილი

# რატომ არ მოვკვდი წვიმაში

დიდი ხანია მინდოდა შთაბეჭდილებები გამომეთქვა ერთ წიგნზე და, მიზეზთა გამო, აქამდე ვერ შევძელი. ეს არის „გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი — მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი — ჩაიწერა ეთერ თათარაიძემ“. წიგნი მწერალთა დამოუკიდებელმა ასოციაცია „გულანმა“ გამოსცა 1991 წელს. რედაქტორი და მოხდენილი წინათქმის ავტორია სალომე ზვიადაძე. გარეკანის მხატვარი თენგიზ მირზაშვილია, მაგრამ აშკარა პოლიგრაფიულ წუნს მისმა ხელოვნებამაც ვერ უშველა. ეს მართლაცდა „ხელის-ხელ საგოგმანები“ წიგნი იმდენად ულამაზოდ არის გამოცემული (უვარგისი ქაღალდი, ბეჭდვის მდარე ხარისხი), ზოგიერთ გვერდს წაკითხვა არ უხერხდება. ამდენად, საჭიროა მომზადდეს ახალი გამოცემა, რომელსაც რამდენადმე მაინც შინაარსის შესაფერისი გარეგნული სახე ექნება.

უთუოდ მადლობის ღირსია საზღვარგარეთ არსებული ქართულ-ევროპული ინსტიტუტი და მისი თავკაცი ბატონი ჯანრი კაშია, ვისი თაოსნობითაც ეთერ თათარაიძის ნამუშევარს დაბეჭდვამდე საქვეყნო აღიარება ერგო — პრემია მიენიჭა.

წინასწარ შემუშავებული და დაწყობილი გეგმით ამ წიგნის შეფასება შეუძლებელია (ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არც თავად „ნაამბობი“ ემორჩილება) და მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ ზოგჯერ ლოგიკურ მდინარებას ვერც ჩვენ მივყვებით.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს — გენიოსებმა კარგად იციან თავიანთი თავის ფასი. მათი ცნობა ხშირად ასეთ შემოქმედთა თანამედროვეებს უჭირთ.

გალიზიანებული გრაფი ვორონცოვი ერთ ტიტულოვან მოხელეს ჩიოხსენებით ბარათში აცნობებდა — პუშკინს თავი გენიოსი ჰგონია, სინამდვილეში ბაირონის სუსტი მიმბაძველია და გთხოვთ ეს პუშკინი ოდესიდან მომაშოროთო.

ასე ფიქრობდა თავის დროზე საკმაოდ განათლებული პიროვნება და რა გასაკვირია, ვაჟას სიდიადეც, ძირითადად, შეუმჩნეველი რომ დარჩა მის სიცოცხლეში.

აკადემიური სკოლის დიდად განსწავლული მხატვარი გიგო გაბაშვილი კი ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობას ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა.

შოპენჰაუერი ამბობს უპანიშადების ვედების შემქმნელებზე, რომ მათი უბრალო მოკვდავებად ჩათვლა არაფრით არ შეიძლებაო. იგივე ითქმის ვაჟაზე, რომელსაც თავად ჰქონდა შეცნობილი თავისი გამორჩეულობა. ასე რომ არ ყოფილიყო, არ იტყოდა:

მადლობელი ვარ, დამბადებელო,  
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,  
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,  
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.  
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,  
მაინც ღმერთს ვმადლობ, — ეშმაკს შეშურდა.

ვაჟა ფშაველამ ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში ყოფნისას, სრულიად ყმაწვილმა, იგრძნო თავისი სულიერი და მსოფლმხედველობრივი ნათესაობა გოეთესთან და ეს განცდა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს. კიდევ უფრო თვალსაჩინოდ და ღრმად საკუთარი მრწამსი, შემოქმედების თავისებურებანი გამოხატა შედარებით ადრინდელ (1894) ლექსში „ნუგეში მგოსნისა“, კერძოდ, ფინალურ სტროფში:

უსულო საგნებს სული ჩავბერე,  
ავასაუბრე ლოდები კლდისა,  
და, როგორც მეფე, გავათამამე  
მწირი ბალახი, ის ჭუჩი მთისა.  
მადლი მფენია მარჯვენაზედა  
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა.

ჩვენს მწერლობაში ვერ დავასახელებთ მეორე პოეტს, ბუნებასთან ვაჟასავით ახლო, რომ მდგარიყო. ამას საგანგებო მტკიცება არც ესაჭიროება.

გიორგი ლეონიძეს აქვს ვაჟაზე დაწერილი ერთი მცირე, სიჭაბუკისდროინდელი ლექსი, რომელშიც უძველესი წარმართული სული ტრიალებს. მის წამკითხველს თავი მთიელთა ხატობაზე გეგონება. ერთმანეთზეა გადანასკვული ღრეობისა თუ მსხვერპლშეწირვის უცნაური სურათები. ქაფმოგდებული, მომწარო ლუდით გადავსებულ ჭურჭელს, ახალდაკლული, მუცელზე გაფატრული ტახის სხეული ენაცვლება („კერატი სისხლში გადარწეული...“). ერთმანეთშია არეული ცეცხლის ნაპერწკლებით დაკემსილი კვამლი და მოთუხთუხე ქვაბებიდან ავარდნილი წითელი ოხშივარი.

ამ ფონზე ვაჟა ნაყოფიერების ღვთაებასავით დაალაჯებს. ასეთად გვიხატავს მას ლექსის პირველივე სტრიქონი: „ხარ ბახტრიონის დევი მაგარი...“ მრავალი თანამედროვის წარმოსახვაში ვაჟა ფშაველას დევკაცის იერი ჰქონდა. ამ მცირე, ჯანღონიან ლექსშიც იგი თვალშეუდგამი სიმაღლის ზღაპრულ გოლიათად არის გამოყვანილი. სამალს განასახიერებს. დევი აქ გრძნეულობის, ღმერთთან წილნაყარობის აღმნიშვნელი სიმბოლოცაა.

სწორედ ამ „დევის“ ნაშიერის, მისი ერთ-ერთი ქალიშვილის მახსოვრობის ნაირფერ, ულამაზეს ყვავილებს ვჭვრეტთ ეთერ თათარაიძის ხელით თუშურ ფარდაგივით ნაქარგ მომცრო წიგნში.

დევობის ამგვარ გაგებაზე მიგვანიშნებს თვით გულქანიც, როცა მამის გულჩათხრობილ, პირქუშ ხასიათს გვიხატავს:

„არ უყვარდა შვილებში გამორჩეულად არავინა. ვერა ნახავდი შვილების მოფერებაში. — გოგოო, შენ ყოჩაღი ქალი მყევხარო და თავზე ხელი დამადვის.

— მაგასავით დევიანი ხარო, — მაყვედრიან ჯალაბთა, — შე არგასაზრდელოო და იმით უყვარხარო.

მმ! დევიანი — მძლავრიო...“

აქ უნებურად მაგონდება ნამსხვრევებად შემორჩენილი ჩვენი ხალხური ეპოსის „ამირანიანის“ ერთი ადგილი. ასე მგონია, იმ უხსოვარ ჟამს გულქანისთანა გრძნეული არსება დაინახა დევების ქორწილის შემსწრემ, „ჯიხვთმწყემსა ქალაის“, ქალის ნაშობმა, ღმერთთან მორკინალმა ამირანმა, როცა მედიდურად მოარულს ქარაგმულად გასძახა:

რას იცინი, დევის ქალო,  
რას მიელვი თეთრსა პირსა,  
გამივლი და გამამივლი,  
გამისინჯავ ბაგე-კბილსა...

ეთერ თათარაიძის ჩანაწერებს რომ ვფურცლავდი, სწორედ ეს „დევის ქალი“ ამოიზარდა ჩემს თვალწინ. ველარ მოვწყდი წუთისოფლის ჭრელ სურათს, ამ უცნაურ ნაამბობს; ვინც გინდათ, რომელი წამკითხველიც გნებავთ — მრავალთა და მრავალთა „კბილის გასასინჯად“, სულის სიძლიერის შემმოწმებლად გამოდგება ბუდემოშლილის, სამუდამოდ მამის კერას მიჯაჭვულის ნაფლეთ-ნაფლეთი მოგონებანი.

თავიდანვე უნდა ითქვას — გულქან რაზიკაშვილისთანა ნიჭიერი, პირუთვნელი ადამიანის არსებასთან, ბუნებრივია, შეუთავსებელი იქნებოდა ყოველგვარი შური, ბოროტება; ამ საძრახ მანკიერებას მან შემაძრწუნებელი სიტყვიერი გამოხატულება მოუძებნა: „მე სუც არ გამივლის გულში სხვისი აგზავი, ზოგ-ზოგსავით გველებით ნაწლავებს არ ავივსებ...“

წარმომიდგენია, რანაირი მარილიანი სახე და გამოხედვა ექნებოდა ყმაწვილქალობაში გულქან რაზიკაშვილს. თავად იხსენებს, პირველ ქმართან ერთად (ლალატისა და უხასიათობის გამო „უგემური“ რომ შეარქვა) მოშორებულ სოფლებში წასულს როგორ ეხვეოდნენ გარს:

„რამდენიც სამგზავროზე წავედით მე და ჩემი კაცი, იმდენი ვისი ქალი ხარო? მე არავისზე ლამაზი არ ვიყავ, მაგრამ რავი, აბა“.

ერთ თავის ფოტოს იხსენებს:

„ერთი სურათი იყო, რო თვალს ვერ მააშორებდი. ხევსურის ქალები ამბობდენ, კედელზე დავკიდებთ, ღვთისმშობელიაო. მართლა შუქიანი ვარ იმ სურათშია“.

ერთი კაცი მოსწონდა თურმე, მაგრამ სმას გადაჰყოლია, გალოთებულა:

„მიწაში ჩაძვრეს ის დანელებული ისა, გუგუტაი... ერთი ხევსური მამწონდა. გულითა და საქცით იყო კარგი, საქცითა. არ მიყვარდა, მამწონდა... აიყოლ-გაიყოლიეს. სმა დაიწყო და იმაზე გამიცუდდა გული...“

ჩვენი მთიანეთის ქალები იმთავითვე საუცხოო მოლექსეებად ითვლებოდნენ. ერთ მათგანს თვითონ გულქანი იხსენებს.

ჩვეულების თანახმად, ვაჟას გარდაცვალებისთანავე, მისი თოფიარაღი და ტალავარი ორმოცი დღე ჰქონდათ გაშლილი. აქ იყო მისი გაცრეცილი ჩერქეზული ჩოხაც, რომლითაც ერთ საოცარ სიზმარში ნახულობს ქალიშვილი მამას. მთელი ფშავ-ხევსურეთის ქალები დასტირიან მიცვალებულს:

„ერთი დედაკაცის ნატირალი ახლაც მახსოვს. ის არ დამავიწყდება. ის დედაკაცი იყო ბეროთ ნათელაი, ვისი სიტყვები დავიმახსოვრე. ბუთლაის სახლობა, იმის ქმარს ბუთლა ერქვა, თვითონ კაწალხეველი ქალი იყო:

ეს არაო ჩვენ ლუკაიო,  
ბადალი მთელი ხმელეთისაო...  
ვერ გაიგეთა, ჩარგალლებოო,  
შაგვეხსნა რკინის კარებიო“.

ქალმა იცოდა, ვისზედაც მოსთქვამდა. შეუძლებელია, ამის მთქმელს შეცნობილი არ ჰქონოდა „ალუდა ქეთელაურისა“ და „გველისმჭამელის“ სიღრმე და სიდიადე.

ხმით ნატირლები — ერთგვარი ექსტაზის ჟამს შექმნეს უდიდესი არტისტიზმითა და ღვთაებრივი პოეტური გზნებით ანთებულმა ჩვენმა მთიელმა ქალებმა.

მათი ჯიშის და გვარისა გახლდათ გულქან რაზიკაშვილი, რომელიც, განგების ნებით, ღმერთკაცის სულის ნაწილი იყო.

ეთერ თათარაიძე გულქანს ერთმა ფშაველმა ქალმა, მაუბარაშვილმა, წარუდგინა, თან მანამდე გააფრთხილა, იმდენად გულჩათხრობილია, შეიძლება „გამარჯობაზეც“ არ გიპასუხოსო. არ გამართლდა იმ ქალის ეჭვი. ამოხედა თუ არა მისულს, მაშინვე ახლობლად, საკუთარი ხასიათის მონათესავედ შეიცნო, მისი ხელი მუხლზე დადო, მიეფერა, გაძვალებული თითები გადაუსვა და ერთადერთი ფრაზა უთხრა:

„იიი, ეხლა შენ შეგჭამენ, ეხლა შენ ამოგართმევენ სულსა...“

ეს სინანულით, მოსხლეტილად ნათქვამი ვაჟას მთელ ტრაგიკულ ბედზეა მიმუქებული.

მოხდა სასწაული — ეთერ თათარაიძემ შეძლო ის, რასაც მის გარდა ვერავინ შეძლებდა — ფასდაუდებელი საუნჯე გადაარჩინა და გამოამზეურა.

უპირველესი შთაბეჭდილება, რაც თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ნაამბობს ის არის, რომ გულქანი წამით არ წყდება, ფესვებითაა მიბმული თავის დიდ მშობელს. უკიდურესი, გაუთავებელი გაჭირვებითაც ჰგავს მამამისს. დაღამებისა ეშინია: მახავით ჭრაქი და ნავთი აქვს სანატრელი. თავის თავს ხშირად ადარებს ღამის მწუხარე ფრინველს („ვზივარ მშიერ-ტიტველი ბუვივითა...“). არცთუ იშვიათად თავისებურად ეტოლება კიდეც ვაჟას. ისე ვერ იტყოდა: „მე და მამას ერთ კალაპოტში გვიდგა ფეხები და ერთნაირად დავბერდით“.

დროდადრო თითქოს გულთმისანის ნაღვლიანი ბუტბუტი ჩაგესმის, თავისი წუხილის მოზიარედ გხდის:

„მამაჩემი იყო ტანჯული და ეხლა მენა ვარ ასეთი. მე და მამამ წუთისოფლისა ვერაფერი გავიგეთ... ხუთმეტისა ვიყავ, მამა რო დამეღუპა... მოხრილი ვარ, ძლივ დავცოცავ... ხალხი აქამდე მაშინებდა, ეხლა მივეჩვიე...“

ბებრული ჩვენებით ამოთქმული ყოველი ფრაზა უფსკრულივით შეიძლება გადაიხსნას და მის სიღრმეში დაინთქას.

ყოველთვის ისე გამოუდის (ეს არც ეჩხაუშება), რომ თავისი თვისებები, ხასიათი მამისას შეუდაროს, არასოდეს ეთიშება. ფიქრით მუდამ მასთანაა, გარდასულს აცოცხლებს, აკვირდება:

„ძროხებში დავბერდი, საქმეში დავბერდი, ეხლაც ვერ გამიშვებინებენ საჩეჩელ-საქსოვ-სართავსა. მამაიც ეგეთი იყო, სუ შრომა... შვილო, არ მომიტანე ჭრაქით? ნავთი არ გვქონდა...“

დედის უცნარი გარდაცვალების სურათს რამდენიმე მოკვეთილი ფრაზა ხატავს. მიმავალს (ეს შვილებმა არ იციან) თავი ხამ ქვაზე უდევს. შემთხვევით შემოდის მეზობლის ქალი და დავეთებული ჩასძახის:

„— კაკა კაკაა ქალოო! — და თავი გადაუგორდა დედასა... ეგ მახსოვს. მამა ყვარელში იყო წასული, იქ ეთქვათ სანადიროდ ნამყოფისთვინა, ცოლი მოგიკვდა, წერილშვილი ლოგინში ჩამსხდარი გიყავისო... ნეტა აქა ყოფილიყო, იქნება დედას ეცოცხლა...“

მამას იმოწმებს, მამას ალაპარაკებს, თავისი გაუტეხელი ბუნება, სიკერპე რომ დაგვანახოს: „მამამ თქო ერთხელა, მახსოვ: გულქანი მე მგავო ხასიათშიო, ნუღარ ელაპარაკებით, ერთ რო იტყვისო“.

შიგადაშიგ მწარე ირონიასაც არ ერიდება და მიზანი აქაც იგივეა: „მამას ვგევარ, კაცო, ფრინველის და ნადირის ხორცი ჩემს თავს მირჩევნია, არ კი სადაა“.

ციმბირის წყლულით დაზიანებულ ვაჟას თვალსაც სხვანაირად, მიმზიდველად ხატავს გულქანი, აქაც თავის საკვირველ ხილვას იშველიებს: „ის ცოტათი წითლად ამობრუნებული უპე არას უშლიდა. სიბნელეში სხივები ედგა მამასა“.

ერთ ადრინდელ წერილში გრიგოლ რობაქიძეს ვაჟას მზერა აქვს აღწერილი, რომელიღაც რედაქციაში ერთმანეთს კონტის ფილოსოფიის გამო შეკამათებიან. მეგონა იმ ცალი, ხალი თვალით მთელი სამყარო შემომჭვრეტდაო, იგონებს „გველის პერანგის“ ავტორი.

სხვადასხვა ალაგას სხვადასხვანაირად ელრება თავის გენიის მამას გულქანი. პირადულები, თანხვედრის, თანაზიარობის მაგალითები არ ...

„მამაჩემს კალამი და მე ქსოვა. წინდების ქსოვა ვიცი და მამამ წერა იცოდა. სოფლადსამრეში მივდივარ და ისევ ამას ვქსოვ. ვშიბავ წინდებსა ქალი, დავაკვირდეთ, რა სიღალეა მის მეტყველებაში.

ამავე დროს ყველას გაურბის განმარტოების რჩეობს, ურთიერთობს, მამის გამო ამპარტავნობა არ დასწამონ.

„არ ვიყავ ხალხში გარკვეული და მერიდებოდა, ისე ვფიქრობდი. არა თქვან, თავი მოსწონს დიდი მამის შვილობითო. მიკუნჭული ვიკავ და მიკუნჭული მივალ მიწასა...“ აქ როგორ არ გაგახსენდეს ათასი უბედურების მომსწრე, გაუთავებელი წამების სიმბოლოდ ქცეული ბიბლიური იობის ნათქვამი: „შიშველი გამოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე...“

გულქან რაზიკაშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობს რომ კითხულობ, გეგონება, ვეება ლოდებშუა ამოგრაგნილი, გამაბრუებელ ორთქლზე გადამხობილი პითიას დუდუნს ისმენ.

ერთგან იგი რაზიკაშვილთა შთამომავლობის „ნაწილიანობაზე“ ჰყვება (სხვანაირად „ქუდბედიანობასაც“ რომ ეძახიან) და თავისი ერთადერთი, ორი წლის ასაკში დაღუპული ბიჭის ამბავს იხსენებს, რა გამწარებითაც. თვალი მისახვედრია:

„ნაწილიანი“ ყოფილა პაპაჩემი, პავლე. ჩემი ბალღიც „ნაწილიანი“ იყო, ორი წლისა მამიკვდა. როგორ „ნაწილიანი“ ეხლა... ნამდვილ „ნაწილიანი“. მე უფროსებს ვეკითხებოდი, არ ვიცოდი. გვარში ერთი ჩამოდის „ნაწილიანიო“... პერანგიანი დაიბადა, ჭარივით რამ არი, ეგრეც ეტყობოდა, კოხტა მასკვლავი ეჯდა საწვერის ზემოთა... ეს პერანგი გადავკეცე და ინტოშიც მალვე დამელუპა. დაბადებისას ვისაც პერანგი დაჰყვება ბედნიერიაო, არ უნდა გადამეგდო. უშეშცეცხლობით მამიკვდა, გაყინვებული დამიხვდა ტყიდან მისულსა...“

ეს სულისშემძვრელი ტრაგედია შემდგომ უფრო სახეობად აქვს აღწერილი და გამაოგნებელ სიღრმესა და სიძლიერეს აღწევს. რაზედაც ქვემოთ მოგვიხდება თქმა.

(გაგრძელება იქნება)

მხატვარი [illegible]



მეგობრობა — გზად და ხიდად

# ივან კოტლიარევსკის დაბადების 225 წლისთავი

ივან კოტლიარევსკი ჭეშმარიტი სახალხო პოეტი, ახალი უკრაინული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელი გახლდათ. მისმა დიდმა მემკვიდრემ და უკრაინელი ხალხის სწორუპოვარმა კობზარმა, ტარას შევჩენკომ, დიდებული ლექსით უკვდავყო წინამორბედის ხსოვნა.

ივან კოტლიარევსკიმ პირველმა შემოიტანა მშობლიურ ლიტერატურაში ხალხური ენის ძალუმი ნაკადი და ხალასი იუმორი. საყოველთაოდ ცნობილ ეპიკურ პოემაში, რომელსაც ვერგილიუსის ამავე სახელწოდების პოემა — „ენეადა“ დაედო ქარგად, კოტლიარევსკიმ ზევსის, ვენერას, იუნონას, ბახუსისა და სხვა ოლიმპიელთა სახით ზაპოროჟიელ კაზაკთა ცხოვრება და ხასიათები დაგვიხატა. პოემა მზით და სიცოცხლითაა სავსე და როგორც აღინიშნა, მარილიანი, ხალხური იუმორითაა გაჯერებული.

მშობლიური ხალხის ცხოვრებას ეძღვნება აგრეთვე მისი ცნობილი პიესებიც: „ნატალკა პოლტავკა“ და „ჯადოქარი ჯარისკაცი“.

დღევანდელ დღეს, როცა გასაგები მიზეზების გამო, შედარებით გართულდა ჩვეული მეგობრული გადაძახილი ჩვენსა და დნეპრისპირელებს შორის, ბუნებრივია, საქართველოში ზეიმით ვერ აღინიშნებოდა პოეტის იუბილე, მაგრამ ვიდრე მირგოროდობს მირგოროდი და სურამობს სურამი, რომ არ გავიხსენოთ ივან კოტლიარევსკის უკვდავი სახელი, ჩვენის მხრივ, ალბათ, ცოდვა იქნება. მით უფრო, როცა „ენეადასათვის“ ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რამდენი საერთო აქვს ქართველ და უკრაინელ ხალხებს.

ივან კოტლიარევსკის ხსენებული პოემა არაერთგზის ითარგმნა რუსულ ენაზე, თარგმნილია ჩეხურ და ბელორუსულ ენებზე.

ქართულად პოემა პირველად ითარგმნება.

გთავაზობთ ერთ მცირე ნაწყვეტს პოემის მეხუთე თავიდან.

მთარგმნელი

## «ენეადა»

და, ჰა, ის ბჭენიც გამოჩნდა უკვე,
სადაც ევანდრე ოფლის ღვარს ღვრიდა:
ხდიდა და ხდიდა ცხელ ვარენუხებს
საკვირველოდ იღვწოდა დიდად;
ასეთ თადარიგს როცა იჭერდა,
ალც სმას აკლებდა მეფე ბიჭებთან,
როცა მილიმაც გაბლდნენ ზარხოშად,
და როს ნავები მოვგნენ ნაპირთან,
ელდამ უველანი ლამის წარხოცა,
მხოლოდ და მხოლოდ ერთი აყვირდა:

ჰეი, ვინა ხართ? — აღავლდა იგი, —
თქვენი გვარ-ტომი სადაურია?
მოგაგზავნეს თუ ისე მოხვედით?
ძმობა გინდათ თუ სისხლი გწყურიათ?!“
„ენეასი ვარ, ტროელთა გმირი,
ლათინთა მტერი და შავი ჭირი!..
აქ მოგვეწია ამბოკრებს დაღლა,
ღმერთი დასწყევლის ამ ჩვენს ბორიალს,
მეფესთან გვინდა ჩამოვხდეთ ახლა,
კარგი კაცია, გაგვიგონია!..“

ევანდრეს ვაჟი, კოხტა პალანტი
მყისვე ჩაუქად გაჩნდა მამაცთან,
მოსულებმ მდაბლად დაუკრა თავი
და მიიწვია სტუმრად მამასთან;
გულში იხუტებს პალანტს სტუმარი,
გამოდგებაო, ხვდება გუმანით;
ალერსს რომ მორჩა, ტროელთა ლომმა
ტყეში ინება შესვენება,
სად მეფე სვამდა, თან ქსელს აბამდა,
მღვდლებთან, პანებთან და სტარშინებთან.
„თუმც ბერძენი ხარ, — აჯახა ევანდრს, —
მაინც მეფე ხარ კანონიერი,
შენი არ იყოს, ლათინთა სახით
მეც მიწას მითხრის მტერი ძლიერი.
კოშევოი ვარ , მხარს მივცეთ მხარი,
ამ განსაცდელში, მოიტა ჯარი,
რომ საუკუნოდ ძმადნაფიცებმა
მტერს ერთიანი ვაწვნიოთ ძალა —
მაგათ გამოა ზღვა და ხმელეთი,
რომ შევაჭერე, ვით მაწანწალამ.

მეფევ, შენსკენ რომ მოვიჩქაროდი,
ეჭვი შემიჩნდა გულში მაცდურად —
მომაწვდის-მეთქი თაფლს, ანდა ბრაგას
მეგობრობის და ძმობის დასტურად?
ჰოდა, თუ ერთად გვინდა დარჩენა,
დაჰკარი ხელი ამ ჩემს მარჯვენას,
მტერთან ჭიდილზე თვით რომ ლაღადებს:
ჩემს ბიჭებზედაც მე ვარ თავდები —
რას ერჩი, ღვთის თუ კაცის განგებით
ათას ფათერაკგადანახადებს!

ყველაზე უფრო საქმეს მიხურებს
რუტული ტურნუს, ის ვირიშვილი;
როგორც ცხელ-ცხელ ბლინს, ისე მიყურებს,
თუ არ შემსანსლა, მოჰკლავს შიმშილი;
უნდა ვარჩიო ერთ-ერთი ორში:
ან თავი უნდა დავიხრჩო ტბორში,
ანდა მოვიშთო ხორხი ხვანჯარით!
მაგრამ, დამაცათ, ჯერ კიდევ ვნახოთ,
ყულფში კისერი რომელმა გაყო! —
შენ ოღონდ შენი ჯარი დასძარი!

ხელმწიფემ მოსულს, როგორც წესია,
საგულდაგულოდ მიუგდო ყური —
ულვაშს იგრეხდა, ჩაიღიმებდა,
ბოლოს პასუხიც მოიღო ძმური:
„აქეთ დაბრძანდი შენ, ანქიზოვიჩ,
ნუ ჯავრობ, რამეს ნაღდად ვიშოვით,
ეშმაც არ არის ჩვენი მომრევი:
ღმერთის შეწევნით მზადაა, აგე! —
ჯარიც, აბჯარიც და სანოვაგეც,
ფულსაც მოგართმევთ, ძმაო, ტომრებით!

ჯერ ჩემს პურ-მარილს გაუგეთ გემო,
დახვრიპეთ ბორში, ჭამეთ ატრია
და კარგა მაგრა რომ გამოძღებით,
თავი ბალიშზე მიდეთ, მადლია.
დილით კი, როცა წითლად დაღარავს
ცისკარი ზეცას, დავკრათ ნაღარას,
რომ დაირაზმონ ჩემი ბიჭები;
ცეცხვის მარცვალიც არ მინდა თქვენი —
უანგაროდ მსურს შეგიწყოთ ხელი —
თქვენ ხალხს ვალმერთებ სხვა გაგიყებით!“

და ჰა, ხორაგით სავსე სუფრისკენ
მიეჩქარებათ უკვე ძმობილებს;
ზოგ-ზოგი კერძი, შეგრილებული,
მყისვე ხელახლა შეათბობინეს;
უხას პელმენი უხდება; ხაში
სავსეა მსუყე ნაჭრებით ფაშვის;
რასოლნიკს ფაშარს მიატანებენ.
ბაჟა შეიშვნეს ლურთმა დედლებმა,
ხბოს ენას ჭრიან ბასრი დანებით,
ამ ნამცხვრის ზვინებს რა შეედრება.
კარგ თოხლზე კარგად მიდის სასმელიც,
ჩვენებურთაგან გამიგონია,
ჰოდა, ამნაირ სუფრას მიმსხდარი
სტუმრები თვლემდნენ? — როგორ გგონიათ?! —
წარმოაჩინეს აქ ერთი ათად,
რომ შნო ცხოვრების შესწევდათ მათაც
მამაშვილობის, ცოცხლების, მკვდრების
შესვეს პირწმინდად, ძირფესვიანად —
მისცხეს! — ყლურწ-ყლურწ-ყლურწ— და ამდენმა სმამ
მათი ამქარი აახმიანა.

გაბრუჟულებმა იწყეს ტრაბახი,
მოჰყვნენ ათასგვარ ტყუილს და მართალს,
ზოგი დროებით, და ზოგიც ქორწილს

ნაღდად აპირებს აქაურ ქალთან.
ვიეთნი მეფეს უსმენენ ხარბად —
ლამბავს ჰერაკლეს საგმირო ამბავს:
როგორ შეიპყრო კაკე ბოროტი, —
ზღვარი რომ დასდო მის ყაჩაღობას,
ვით დაწესა დღესასწაული
ევანდრემ ამ დღის უკვდავსაყოფად.

მწუხრისას ფეხზე ძლივსღა დგებოდნენ
და ვისაც შერჩა მუხლებში ძალა,
მიუყარათ და გაუყვნენ ქუჩებს,
ბანცალ-ბანცალით მოედვნენ ქალაქს;
ტროელს ლაბადა მოასხეს თბილი,
რადგან გომურში ინება ძილი;
ხოლო სმისაგან დათხილ ევანდრს,
შინისკენ ბობღვით დაადგა ჯაფა,
საწოლქვეშ დასცხო მოხუცმა ხვრინვა,
როგორც კი თავი მიანდო ნაბადს.

მათი ქეიფი და დროსტარება
ლუსკუმმა ღამემ რომ გაასრულა,
და ძილმა მთვრალი ენეასისას
დაუდო ზღვარი როცა საზრუნავს —
ვენერა, მალვით გარეთ გასული,
ფეხშიშველი და თმაგანძარცული,
უქვედაწელოდ, ოდენ ხალათით
გაძვრა ვულკანთან, თითქოს მანამდი
კანონით მისი არ იყო ცოლი
და დიაცს მისგან გზა ჰყოფდა შორი.

თუმცა ხომ იცით ქალის ბუნება —
სიახლეებით უყვარს თამაში,
თავისზე კარგი არ ეგულება,
სურს იყოს კიდევ უფრო ლამაზი;
ვის ჩამორჩება ვენერაც, ძველი —
უბე-კალთაზე ჩაიკრა ხელი,
წელი კი ისე შემოისალტა,
ჰიპიც მოუჩანს და თეთრი მკერდიც,
რომ წყება-წყება კაცების გარდა,
გადაირიოს თვით მამა-ღმერთიც.

დასტრიალებდა ვულკანი ქურას,
ზევსისთვის ჭედდა ელვათა დასტას,
შიშით გაუსხლტა ხელიდან ურო,
ცხვირი რომ შეჰყო ვენერამ მასთან:
აწონ-დაწონა ქალმა ყოველი,
იფიქრა: „იფ-იფ, რა დროს მოველი?!“
მყისვე ყელზე რომ ჩამოეკიდა
და ტუჩით მისწვდა მეუღლის ტუჩებს,
მწველი ვნებისგან თვალებმიბნედილს
აუთახთახდა სხეული უცებ.

კაციც დაადნო ქალის სიშმაგემ —
არ დააყარა ბედშავს ხეირი...
მოსული გულში ჩაიეშმაკებს —
ახლა ნახეთო ამის სეირი!
„ო, ვულკანიკო, სამართლიანო,

ყველაზე კარგო და მადლიანო,
მითხარი, მართლა გიყვარვარ განა?!“
„ვფიცავ საბერველს, მარწუხს და უროს,
ჩემო სიცოცხლევ და ნანდაურო,
მიყვარხარ!.. რა გსურს, მიბრძანე, ჩქარა!“
და ატოტებულს მკერდზე კიპრიდას
ისე უცინის პირში ვერანი,
ვით შეპირვებულ ჯიბესქელ კლიენტს
გამოსარჩენად — სოფლის მწერალი;
მოსულსაც მეტი არა უნდა რა! —
ენეიკოზე იწყო მუდარა —
„გამოჭედეო მისთვის აბჯარი
რვალით, სპილენძით, — ოქროცურვილი,
ისეთი, მტერმა ვერა დააკლოს,
ბევრიც ჰქონდესო ამის სურვილი“.

„შენი გულისთვის? ცეცხლში ჩავდგები! —
ამბობს, თან ხვნეშით ლოშნის წუნკალი, —
შენს ბიჭს ექნება, რაც თქვი, არადა,
მე აღარ ვიყო მაშინ ვულკანი:
ფარ-ხმალი, ზუჩი, თორი — ყოველი
მოსევადებულ-მოოქროვილი;
ტვიფრ-ჩუქურთმებით მასთან სად მოვა
სკივრ-ზარდახშები ტულის, ნაქები,
აბჯარს შევუმკობ წარწერებით და
ზიზილ-პიპილო ზანზალაკებით!“

როგორ გგონიათ, თვალთმაქცობის ზნემ
ჩვენს დროში ცოლებს გადაუარა?
არა! თავს ისევ იკატუნებენ
გაუჭირდებათ რამე თუ არა;
მყის შეიცვლება მათი ბუნება,
ქმრებს ედებიან მტლედ, სალბუნებად,
და მიდის ხვევნა-კოცნა ურიცხვი;
ქმარიც, ავსილი უკვე სხვა გრძნობით,
სახსრებდაშლილი და ტვინნაღრძობი,
რას არ კისრულობს ცოლის გულისთვის...

ტანზე ღრუბელი შემოიბურა
და მიაშურა ზეცას კიპრიდამ,
მშვენიერება რომ დაიბრუნოს
პაფოსში თავის დარბაზს მიფრინდა...
ყველა ურდული როცა ჩარაზა,
ტანსაც მიხედა, კულულ-დალალსაც;
მჭვარტლის ლაქები ჩამოიბანა,
თუმც ენეიკო ისე უყვარდა.
მზად იყო კვლავაც სწვეოდა ქვესკნელს
და კვლავ ეცხოვრა თავის ვულკანთან.

ზე წამოყარა მჭედელმა ხალხი
ვულკანის ხელში რა დაძინებით:
სპილენძი, ტყვია, რკინა და კალა
გადასადნობად გაახაზირეს;
ტკრციალებს გრდემლი, მიმქრალ ქურებზე
ისევ კოცონებს აგურგურებენ;
გულდაგულ იქნევს ვულკანი უროს,
ისე ირჯება, თვალსაც მოგტაცებთ,
თვითონ ხომ ოფლი დასდის წურწურით,
სულ სიქას აცლის თავის ოსტატებს.

დილის მეშვიდე დაჰკრა საათმა,
მზის სხივმა ზეცა მოავარაყა,
საუზმე ეშხით დააყუმბარა,
იშტა გაუხსნა ვისაც არაყმა;
დააყროყინა როცა სახედარს, —
მსაჯულმა ისევ საქმეს ჩახედა,
შულერმა უკვე ძილს მისცა თავი,
სიფთაზე სული მისდის დახლიდარს,
ბელურა ფივის და ყვავი ჩხავის,
ბოზი ბოზობას იწყებს ახლიდან.

ხოლო ტროელებს ნაბახუსევზე
ის დილა ექცათ საშინელებად,
იულვინტებიან და აპურჭყებენ,
კვნესიან, ახრჩობთ ხმელი ხველება;
ჰა, როდის, როდის ადგნენ წვალებით,
მიმოისრისეს ხორშით თვალები,
ხოლო მთლად აზრზე რომ მოხულიყვნენ,
კვლავ სამნახადი წაადგათ დიდად —
მერე ხალხს ჰკითხეს, ვით ვიომოთო,
როცა შეჰყარეს რიჩ-პოსპოლიტა.

და ჰა, დარაზმეს ასეულებად
არკადიელთა ფიცხი მხედრები,
პანები უდგათ ასისთავებად
მხედრებს, ვერვინ რომ ვერ შევედრებით;
გასცეს შიმშერი, კვერთხი, ლახვარი,
დროშა-ალმები მაღალ-მაღალი;
მუშკეტები თუ ორცხობილები,
ზედ ქონიც, — აბა, რას იქმს მშიერი!.. —
ძეხვი და კვერი, ფქვილი, ხორბალი,
ფულით დააძღეს ნებისმიერი...

უკრაინულიდან თარგმნა

**ამირან ასანიძე**

## რეცენზიის მაგიერ

# ნაშრომი ქართული ჯილდოთმცოდნეობის შესახებ

ისტორიის დამხმარე დისციპლინებიდან (არქეოგრაფია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, სფრაგისტიკა, ჰერალდიკა...) ყველაზე ახალგაზრდაა ფალერისტიკა, რომელიც შეისწავლის ორდენებს, მედლებს და წარჩინების სხვა ნიშნებს (ახეთებია: ძვირფასი ქვებით მოჭედილი და ოქრო-ვერცხლით მოხატულებული საპატიო იარაღი, სამაგიდო მედლები...). დიდი ხნის მანძილზე ორდენები და მედლები ნუმიზმატთა კვლევის სფეროში შედიოდა და დამოუკიდებელ დარგად ფალერისტიკა დაახლოებით 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ უცხოური ტერმინის (წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან pha'lara. იგი აღნიშნავდა მებრძოლთა მუზარადზე, მკერდზე ან ცხენის შუბლზე დამაგრებულ ბალთას, სამკაულს, რომელიც სამხედრო წარჩინების ნიშნების როლს ასრულებდა) ყველაზე მისაღები ქართული შესატყვისია ჯილდოთმცოდნეობა.

ქართული ჯილდოების დაწესების პირველი პროექტი გვხვდება იოანე ბაგრატიონის (1768-1830) „სჯულდებაში". ქართული ორდენების ტრადიცია იწყება მხოლოდ 1915 წლიდან. ამრიგად, სამამულო ჯილდოების ისტორია არ არის ხანგრძლივი, მაგრამ ის საჭიროებს გააზრებას, სისტემატიზაციას და მეცნიერულ შესწავლას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე სტატიას, ქართული ჯილდოების შესახებ ერთი განმაზოგადებელი ნაშრომი დღემდე არ არსებობდა და ეს ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად დაძლეულია ახალგაზრდა მკვლევარის ნიკო ჯავახიშვილის მიერ.

ნიკო ჯავახიშვილმა რამდენიმე წლის წინათ მიიქცია სპეციალისტთა და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პროფესიულ დონეზე შესრულებული გააზრებული სტატიებით ქართული სამონეტო ტერმინოლოგიის, ბონებისა და ორდენების შესახებ. ავტორი იმ ხანებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ. წელს მან წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი (ხელმძღვანელი აკად. მ.ლორთქიფანიძე) ქართული ფალერისტიკის საკითხებზე. ახლა კი ის მოგვევლინა ავტორად მონოგრაფიისა „ქართული ფალერისტიკა", რომელიც აკად.რ.მეტრეველის რედაქციით დაიბეჭდა ჟურნალ „არტანუჯის" ბიბლიოთეკის სერიაში (გამომცემელი ბ.კუდავა). ამრიგად, 22 წლის ჭაბუკმა ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა და ფაქტობრივად გახდა ქართული ფალერისტიკის ფუძემდებელი.

ნ.ჯავახიშვილის მონოგრაფია (95 გვ.), რომელიც უხვად არის დასურათებული, შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან მას ერთვის რ.მეტრეველის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე და ბიბლიოგრაფია.

მონოგრაფიის შესავალ ნაწილში ავტორი ახასიათებს ფალერისტიკას, როგორც ისტორიულ დისციპლინას, განსაზღვრავს თემის მნიშვნელობას და აქტუალობას. პირველ თავში ის განიხილავს ქართულ ჯილდოთა პირველ პროექტს და საქართველოსთან დაკავშირებულ უცხოურ მედლებს. ნ.ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად გააანალიზა იოანე ბაგრატიონის თვალსაზრისი სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების შესახებ, რომელიც გადმოცემულია მის „სჯულდებაში". ეს ნაშრომი, როგორც ცნობილია, შეიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს და წარმოადგენს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტს. ირკვევა, რომ იოანე ბაგრატიონი საჭიროდ მიიჩნევდა ჯილდოებად შემოღებულიყო წმ.ნინო კაბადოკიელის, წმ.დავით აღმაშენებლის და წმ.ქეთევან დედოფლის ორდენები, წმ.გიორგის მედალი და საპატიო ხმალი. მათ გარდა, „ეაჯაცობისთვის" უნდა დაწესებულიყო აგრეთვე სხვა ჯილდოები (მედლები) „წმინდა მეფეთა არჩილ და ლუარსაბის სახეთა" გამოსახულებით, რომელიც დამშვენდებოდა „ჭრელის ლენტით". სამწუხაროდ, ეს პროექტი ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ 1801 წ. ქართლ-კახეთმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილაა მეორე თავი: „ქართული ფალერისტიკული ძეგლები და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები". ამ თავში მკითხველი შეიტყობს, რომ პირველი ქართული ჯილდოს „თამარ მეფის ორდენის" შემოღება დაკავშირებული იყო პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის მხარეზე მოქმედი საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტისა და ქართული ლეგიონის მოღვაწეობასთან, მისი აღდგენის ფაქტი კი 1941 წ. მეორე მსოფლიო ომში უკვე გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მხედართა ისტორიასთან. თამარ მეფის ორდენი დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ქართველთა ისე გერმანელთა შორის. აღსანიშნავია, რომ ამ ორდენით იყვნენ დაჯილდოვებულნი გერმანიის ისეთი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიცაა გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი, ერიხ ლუდენდორფი, კაიზერ ვილჰელმ II-ის ვაჟი პრინცი ვოლდემარ ჰოჰენცოლერნი, გრაფი შულენბურგი და სხვ.



მონოგრაფიის მეორე თავში ნაჩვენებია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, მერე კი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში გრძელდებოდა რუსეთის საიმპერიო ნიშნებით გეორგის ჯვრებით დაჯილდოების ტრადიცია; დასახელებულია გიორგის ჯვრის ქართველი კავალრები; ავტორი გვესაუბრება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკუთარ ჯილდოებზეც, წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენებზე, რომლებიც გაუქმეს საერთო-საკავშირო ჯილდოების დაკანონებასთან დაკავშირებით. ამავე თავში განხილულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების ცდა 1991 წ. და, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები, რომლებიც შემოღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონის საფუძველზე; დასახელებულია ამ ქართული ჯილდოების პირველი კავალრები.

მონოგრაფიის მესამე თავში შესწავლილია ქართულ ჯილდოთა ის პროექტები, რომლებიც შემუშავდა 1921-1933 წწ. საფრანგეთში (პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისთვის") და 1954 წ. გერმანიაში „ქართველ მხედართა დარაზმულობის" ორგანიზაციის მიერ და რომელთაც განხორციელება არ ეწერათ.

ნაშრომის მეოთხე თავში ნ.ჯავახიშვილი საუბრობს უცხოურ ჯილდოთა ქართველი კავალრების შესახებ. ამ პირთა გალერეა იწყება ერეკლე II-ით, რომელმაც 1769 წ. მიიღო რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდო — წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენი. მის კვალდაკვალ ამავე ჯილდოს ფლობდნენ ერეკლეს ვაჟი გიორგი XII და იმერეთის მეფე დავით II. დასახელებულია როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ქვეყნების უმაღლესი ჯილდოების ქართველი მფლობელები. უკანასკნელთა შორისაა ერეკლეს ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც მიანიჭეს ირანის პრესტიჟული ჯილდო ლომისა და მზის ორდენი; ნაპოლეონის მამლუქი რუსტამი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი (აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი გვარი არავითარ შემთხვევაში არ იყო რაზმაძე); კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე, რომელმაც 1914 წ. სარიყამიშთან ტყვედ აიყვანა ოსმალეთის მეცხრე საარმიო კორპუსის გენერალიტეტი და დაიმსახურა საფრანგეთის წარჩინების ნიშანი „სამხედრო მედალი", რომელსაც თვით ნიკოლოზ II ატარებდა; ალ-ამეინის ბრძოლაში დაღუპული პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი, რომელიც დაჯილდოებული იყო საფრანგეთის „განთავისუფლების ჯვრით"; საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორგზის კავალერი, ვარშავის დამცველი დ.ვაჩნაძე; იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს, ოქროს მედლის „მხედრული მამაცობისთვის" მფლობელი ფ.მოსულიშვილი; სამხედრო მფრინავი დ.მანაგაძე, რომელსაც მიენიჭა იუგოსლავიის სახალხო გმირის წოდება და გადაეცა შესაბამისი დასახელების ორდენი. ამ სიაში ვნახავთ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილსაც, თანამედროვე აშშ-ს უმაღლეს სამხედრო პირს, რომელიც მრავალი უცხოური ჯილდოს მფლობელია და სხვ.

ნ.ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ კარგი იქნებოდა თანამედროვე ქართული ორდენებისა და მედლების პროექტთა შექმნის პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო ჩვენი ძველი ფალერისტიკული ძეგლები, ან მათი პროექტები, რომელთაც თავის დროზე განხორციელება არ ეწერათ. ეს, ვფიქრობთ, არც ახლაა გვიან — ქართულ ჯილდოთა შექმნა ხომ დასრულებული არ არის და ამ მხრივ იოანე ბაგრატიონის თვალსაზრისი ულიად საინტერესო იქნებოდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ნიკო ჯავახიშვილის ნაშრომი დაწერილია კარგი ქართულით. ის ჩვენი მეცნიერების კარგი შენაძენია. ისღა დაგვრჩენია, დავველოდოთ ახალგაზრდა მკვლევარის მორიგ მონოგრაფიას — „ქართული ბონისტიკა", რომლის გამოცემასაც, ავტორის დაპირებით, მოხმარდება „ქართული ფალერისტიკის" მთელი ჰონორარი.

**ბორა ჯაფარიძე**

## თბილისის ხუროთმოძღვრება

# ციხისდიდისა და ვანქის ეკლესიები

ქართველი ხალხი ოდითგანვე რჯულშემწყნარებლობით იყო ცნობილი. ამ თვისებამ მთელ რიგ ხუროთმოძღვრულ ნაგებობებში ჰპოვა თავისი გამოხატულება.



ებრაული სინაგოგები, სომხური — გრიგორიანული, ბერძნული — კათოლიკური ტაძრები და მუსულმანური მეჩეთები ჩვენი დედაქალაქის ხუროთმოძღვრულ ანსამბლებშია მოქცეული.

კალასუბანში, ვახტანგ გორგასალის მოედანზე აღმართული გუმბათოვანი ეკლესია იმ ქართულ ტაძართა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც გვიან სომხური თემი დაეპატრონა. ესაა სურბგეორქი (ციხისდიდის, წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია). ქართული ტაძარი მეთორმეტე საუკუნეში განუახლებიათ. ძნელბედობისას მას სპარსელები დაპატრონებიან. XVIII საუკუნის 70-იან წლებში მეფე ერეკლე მეორეს შენობა კვლავ სომხური თემისთვის დაუბრუნებია. დღეს იგი გრიგორიანების საეპისკოპოსო ეკლესიაა. აქაა დასაფლავებული ცნობილი აშუღი საიათნოვა.

თბილისის ერთ-ერთი უბანი ვანქის უბანი იყო. მისი სახელწოდება გამომდინარეობდა გარეთუბანში მდგარი იმ სამგუმბათიანი სომხური ეკლესიიდან, რომელსაც ფაშავანქი (ფაშის საყდარი) ეწოდებოდა. XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის გადმოცემით, ტაძარი თურქეთიდან გამოქცეულ გაქრისტიანებულ ფაშას დაუარსებია XIV-XVI საუკუნეებში. ტაძარი ექვთიმე ათონელის ქუჩის სიახლოვეს მდებარეობდა.



1720 წელს ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსის მეფობის ხანაში დანგრეულის ადგილზე ახალი ეკლესია აუშენებიათ და გალავანი შემოურტყამთ.

ვანქის ეკლესია დღეს აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ XIX საუკუნეში აგებული სამრეკლო.

**თამაზ ქიქავა**

ფოტოები ავტორის

# O TEMPORA, O MORES!

### 25 აგვისტო

1878 — მიმდინარეობს რუსეთ-თურქეთის ომი. ამ დღეს, კავკასიელი მოლაშქრენი ბათუმში შევიდნენ. ბათუმის ნავსადგური რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა დაიკავეს. ეს დღე ბათუმში დიდი ზეიმით აღინიშნა.

1900 — 95 წლის წინ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფრიდრიხ ნიცშე, დიდი გერმანელი მოაზროვნე, „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან", „ასე იტყოდა ზარატუსტრას", „ანტიქრისტეს" ავტორი, ევროპული ინტელექტუალური წრეების ფიქრთა მპყრობელი.

1920 — 75 წლის წინ დაიბადა შოთა სულაბერიძე, კრიტიკოსი და მთარგმნელი.

1920 — 75 წლის წინ დაიბადა რობერტ სტივენსონი, ინგლისელი ქართველოლოგი.

### 26 აგვისტო

1880 — 115 წლის წინ რომში დაიბადა გიიომ აპოლინერი (ნამდვილი სახელი: გიიომ ალბერ ვლადიმირ ალექსანდრ აპოლინარიი კოსტროვიცკი), დიდი ფრანგი პოეტი.

1885 — 110 წლის წინ სენ-ჟულიენ — შაპტეიში დაიბადა ჟიულ რომენი (ნამდვილი სახელი: ლუი ფარიგული), ცნობილი ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1946 წლიდან.

1925 — 70 წლის წინ დაიბადა ქართული კინოს მხატვარი ლუის ალვარეს ფერნანდესი.

1967 — ვობერნ ები; ბერდფორდშირში გაიმართა სამდღიანი Festival Of The FlowerChildrenსლონ პრაისის, Marmalade, Bee Gees-ის მონაწილეობით.

### 27 აგვისტო

1770 — 225 წლის წინ დაიბადა გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი (გარდაიცვალა 1831 წელს).

1885 — 110 წლის წინ დაიბადა პავლე საყვარელიძე, მწერალი (გარდაიცვალა 1944 წელს).

1919 — მოსკოვში გამოიცა დეკრეტი ფოტოგრაფიული და კინომატოგრაფიული ვაჭრობისა და მრეწველობის განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადასვლის შესახებ. ეს დღე საბჭოთა კინოს დაბადების დღედ მიიჩნევა.

1950 — 45 წლის წინ გარდაიცვალა ჩეზარე პავეზე, ცნობილი იტალიელი მწერალი.

1967 — გარდაიცვალა ბრაიან ეპშტეინი, ცნობილი მენეჯერი, The Beatles-ის „მეხუთე წევრი".

1967 — ბოსტონში ჯონ კეილი ბოლოჯერ გამოდის ჯგუფ The Velvet Underground-თან ერთად.

# ავთანდილ სპარსიაშვილი — 70

## ცვარა, მინანქარი და მომლოდინე თიხა

და არა ოდენ ხმლით იქმნება ისტორია.

ან იქნებ ხმალზე მეტს კალამი, ყალამი, ჩანგი თუ საჭრეთელი აკეთებს. „რომელმან შექმნა“ — ყინწვისის ფრესკა... „შენ ხარ ვენახი“ — სვეტიცხოველი... და იმზირება ისტორია სტრიქონიდან, ქვიდან, ხატებიდან, „ხელთუქმნელი“ სამკაულებიდან... იმზირება და მიახლების სურვილს ბადებს, რათა საკუთარ თავს დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც ისინი ვართ, იქიდან მოვდივართ და მივდივართ, ალბათ, შორს, შორს, დაუსაბამოდ. ასე წამოტივტივდება ხოლმე საუკუნეთა სიღრმიდან უძველესი სტილი, შემოქმედებითი ხერხები თუ მეთოდები. ასე აღდგა სამოციანი წლების საქართველოში ძვირფასი ლითონის მხატვრული დამუშავების უმშვენიერესი სახე — ცვარა, კერძოდ, მისი დამზადების უცნობელი, ასწლეულების განმავლობაში მივიწყებული მეთოდი. ეს, ფაქტობრივად, აღმოჩენა იყო, აღმოჩენა, რომლის ავტორი გახლდათ მხატვარი ავთანდილ სპარსიაშვილი.

თუმცა, სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

მაღალია 70 წლის გადასახედი, მით უმეტეს, შემოქმედი კაცისთვის. პირველი ქმნილება, რომელსაც თვით ბატონი ავთანდილი თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვნად მიიჩნევს და რომელმაც სპეციალისტთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, ეს იყო ჯერ კიდევ სადიპლომოდ დამზადებული ტორშერი — 2 მ და 40 სმ. სიმაღლის, 10 ნათურაზე გათვალისწინებული ფაიფურის სადგამი ჭაღი. ტორშერის პროექტს, მისი სირთულისა და გრანდიოზულობის გამო, თავიდან, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შეხვდნენ — ფაიფური ხომ ძალიან თავნება და ძნელად დასამორჩილებელი მასალაა. ქარხანაში ფაიფურის ფინჯნები პირით ერთმანეთთან შეწყვილებულად იწვება. სხვანაირად ფინჯნის პირი დეფორმაციას მიიღებდა. შემდეგ შეწყვილებულ ფინჯნებს ხსნიან და ქლიბავენ, რომ ტუჩისთვის უხეში არ იყოს. ჭიქურს კი უკვე ვეღარ უკეთებენ. და ამ დროს სპარსიაშვილის სადგამი ჭაღის ძირითადი ნაწილის — ფაიფურის ჯამის დიამეტრს 84 სმ-სთვის უნდა მიეღწია. ახალგაზრდულმა ენერგიამ და პროფესიულმა სიყვარულმა თავისი შედეგი გამოიღო — პირველი ალმართი დაძლეულ იქნა.

ჭაღის ღირსება კიდევ ის არის, რომ ჯამს აქვს მედალიონები — ფაიფურის ფილები ორნამენტებით, რომლებიც შედარებით თხელია და სინათლის ანთებისას შესანიშნავ ეფექტს იძლევა.

სხვა კერამიკული ნამუშევრებიდან, რომლებიც ავთანდილ სპარსიაშვილმა უკვე კერამიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში შექმნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრიბოედოვის თეატრის ცენტრალური ჭაღი. მის დამზადებას ავთანდილ სპარსიაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ნაკეთობის ავტორის დიდი პედაგოგი — ბატონი დავით ციციშვილი — საექსპერტო დასკვნაში წერდა, რომ ევროპაშიც არ შევხვდება ასეთი მასშტაბების ფაიფურის ჭაღი. თეატრებში კი გვხვდება ფაიფურის ჭაღები, მაგრამ ცენტრალური, ასეთი გრანდიოზული, ასეთი ზომისა და გადაწყვეტისა — არა.

ავთანდილ სპარსიაშვილისთვის უცხო არ იყო შედარებით „პრაქტიკული“ სამუშაოებიც. მისი გაფორმებულია თბილისის ჩაის სახლის (ძველი), ესენტუკის ერთ-ერთი დიდი სანატორიუმის ინტერიერები, წყარო რიწასთან (სხვათაშორის, შემდეგ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მას სახე შეუცვალა) და სხვა.

ამის პარალელურად არ წყდებოდა შემოქმედებითი კვლევა-ძიება, რისი ყველაზე თვალსაჩინო და ეფექტური ნიმუშია 60-იანი წლების ბოლოს შესრულებული ვერცხლის გულსაკიდი ცვარათი. ცვარა ჰქვია ლითონის წვრილ ბურთულებს, რომლებიც ორნამენტების სახით არის მიბნეული ძირითად ფონზე. ბურთულები ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათ შორის სივრცე ილიქმება, კავშირს ვერც კი შეამჩნევ შეუიარაღებელი თვალით. ეს არის ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი აზრი, მნიშვნელობა, რაც ნაკეთობას სილამაზეს, სიფაქიზეს ანიჭებს.

არსებობდა აზრი, რომ ცვარას გაკეთება მხოლოდ ცივი ხერხით შეიძლება. ცივი ხერხი შემდეგში მდგომარეობს: ვერცხლისწყალი 600-700 გრადუსამდე უნდა გაცხელდეს. შემდეგ მასში შეაქვთ ძვირფასი ლითონი, რომელიც ვერცხლისწყალში ფიზიკურად იხსნება. შემდგომი პროცედურებია მოლესვა, რომ კარგად გაიქნას, და ზედმეტი ვერცხლისწყლის გამოწურვა. მივიღებთ ფაფისებურ მასას. ამას აძლევენ ბურთულების ფორმას და ასე უკავშირებენ ფონს. ვერცხლისწყალი ნაკეთობის ნაწილებს კარგად აკავშირებს. შემდეგ ნაკეთობას ახურებენ მაღალ ტემპერატურაზე, რომ ვერცხლისწყალი მთლიანად აორთქლდეს და აღდგეს ლითონი. ამ ხერხით მუშაობის დროს მეტი გარანტია არსებობს სისუფთავისა, სილამაზისა და სიფაქიზისა, ერთი სიტყვით, ნაკეთობა მართლაც ეფექტური გამოდის.

მაგრამ მოგეხსენებათ, ვერცხლისწყალი როგორ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მით უმეტეს — აღუდებული. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის ისაკის ტაძრის გუმბათები ცივი ხერხით არის მოოქროვილი, მაგრამ ცნობილია, რომ ამაზე მუშაობისას თითქმის ყოველდღე თითო ხელოსანი კვდებოდა.

ავთანდილ სპარსიაშვილი თვითონაც დიდხანს მუშაობდა ვერცხლისწყლით, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და მუშაობის სხვა მეთოდებზე დაიწყო ფიქრი. მას არ ასვენებდა აზრი, რომ ძველი ხელოსნებისთვის უეჭველად იქნებოდა ცნობილი ცვარას დამზადების სხვა, უვნებელი ხერხი.



ბატონმა ავთანდილმა აქაც გაიმარჯვა. მან შეძლო დაემორჩილებინა კავშირი —ნივთიერება, რომლითაც ხდება ნაწილების დაკავშირება ცხელი ხერხით მუშაობისას და ისეთივე ეფექტური, ლამაზი და ნატიფი სამკაული შექმნა, როგორიც ჩვენამდე მოღწეული ძველი საუკუნეების ნამუშევრებია. მის მიერ დამზადებულ გულსაბამზე კავშირი არ შეიმჩნევა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ცვარა ფონზე მშრალად იყოს მიბნეული.

ამ ფაქტმა სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება გამოიწვია, რაზეც ბატონი ალ.ჯავახიშვილის რეცენზიაც მეტყველებს.

საუკუნეთა განმავლობაში დავიწყებული იყო ნაკეთობის მხატვრული დამუშავების კიდევ ერთი ხერხი — ტიხრული მინანქარი. 1968 წელს ავ.სპარსიაშვილმა ტიხრულ მინანქარში შეასრულა შოთა რუსთაველის პორტრეტი, თითქმის ნატურალური ზომებით. მართალია, მუზეუმებში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოზრდილი პორტრეტები, მაგრამ მისი სახე ძირითადად მედალიონებში გვხვდება. ასე რომ, მინანქრისთვის ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ზომებაა. ამ ნაკეთობის ფონისთვის ავტორმა უკვე დამორჩილებული ცვარაც გამოიყენა.

მეტად მნიშვნელოვანია რამდენიმე წლის შემდეგ საპატრიარქოს დაკვეთით შესრულებული რეგალიები. ჩვენთან ასეთი ქართული ნაკეთობები აღარ არსებობდა. შემონახული იყო მხოლოდ ბიზანტიური ან რუსული წარმოების რეგალიები. ავთანდილ სპარსიაშვილმა ძველი უნიკალური და ახლად აღდგენილი ხერხებით ორი — წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ჰანარეა დაამზადა ოქროში.

დაკვეთა გახსენე. მაგრამ ბატონი ავთანდილი არასოდეს მიდგომია თავის საქმეს, როგორც „დაკვეთილს“, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მისი ყველა ნამუშევარი მხოლოდ ერთი ცალია, ხელოვანის ხელით დამზადებული და შემოქმედებითად უნიკალური.

თავის დროზე რესპუბლიკის ხელისუფლებამ ასე დააფასა შემოქმედის რუდუნება: 1985 წელს ავთანდილ სპარსიაშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

რა თქმა უნდა, 70 წელი ზღვარი არ არის. ბატონ ავთანდილს ახალი შემოქმედებითი გეგმები აქვს. იგი კერამიკას უბრუნდება. ამჯერად თიხა ელოდება ოსტატის ხელს, ამჯერად თიხაში განსხეულებულ ხელოვნების ხელს ელოდება პატარა კერამიკული სახელოსნო.

**ზაზა ბიბილაშვილი**

---

მოზაიკა

# მითხარი, რა ფერის თვალები გაქვს...

ბუნებაში არსებულ ნებისმიერ სხეულს ამა თუ იმ სახის ენერგია აქვს. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ადამიანია. ალბათ, ყოველ ჩვენთაგანს ქვეცნობიერად მაინც უგრძნია, რომ ამა თუ იმ ადამიანთან ურთიერთობისას მას ტონუსი ეწევა ან, პირიქით, თავს დათრგუნულად, ძალაგამოცლილად გრძნობს. ყოველივე ეს ეგრეთ წოდებულ ენერგეტიკულ დონორობას ანუ ვამპირიზმს ემყარება, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის სიამოვნებათა ინდივიდუალურ სისტემას უდევს საფუძვლად. ადამიანები, რომლებიც თავისი ენერგიის დახარჯვით სიამოვნებას იღებენ, დონორები არიან, ხოლო ვისაც, პირიქით, მისი მიღება ურჩევნია — ვამპირები.

იმისათვის, რომ უცხად გაერკვეთ იმაში, თუ სიამოვნების რომელი სისტემაა დამახასიათებელი თქვენთვის საინტერესო პიროვნებისათვის, საკმარისია ყურადღებით დააკვირდეთ მისი თვალებისა და თმების ფერს.

ადამიანები, რომლებსაც თვალების „ცივი“ ფერები აქვთ (ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი), სიამოვნებას მაშინ ღებულობენ, როცა საკუთარი იდეალების შესაბამისად თვითონვე ქმნიან თავის სამყაროს. ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, დონორები არიან. ისინი, თავის მხრივ, ორ კატეგორიად იყოფიან. პირველს განეკუთვნებიან ლურჯ ან მუქ-ნაცრისფერთვალებიანი ადამიანები, რომლებიც ყოველწუთიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან. სწორედ ამიტომ არის, რომ მათ ხშირად აბეზარ ადამიანებად მიიჩნევენ. ისინი, როგორც წესი, საშუალო რგოლის ჩინებული ხელმძღვანელები არიან. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ღია ნაცრისფერი თვალების მქონე ადამიანები, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობა გაცისკროვნებულია, მაგრამ არაორდინალურ გადაწყვეტილებათა მიღებას მათგან არ უნდა ველოდეთ. ასეთი თვალები უფრო ხშირად მეცნიერ-მუშაკებსა და ავანტიურისტებს აქვთ. ნაცრისფერ-თვალები-ან ადამიანთა სიყვარულის მოპოვება საკმაოდ ძნელია. თავისი თაყვანისცემის ობიექტს ისინი თავად პოულობენ, ანდა ძალ-ღონეს არ იშურებენ ამორჩეული ადამიანის საკუთარ იდეალამდე „ასაყვანად“. ასეთი ადამიანის გულის მოგების ყველაზე საიმედო გზაა, თავი მოაჩვენოთ, რომ მის ხელთ კეთილშობილი და მორჩილი „მასალა“.



„ცივთვალებიანთა“ ანტიპოდებად გვევლინება ყვითელ და მუქ-ყავისფერთვალებიანი, „თბილი“ ფერის მქონე ადამიანები. ისინი დიდ სიამოვნებას განიცდიან, როცა გარშემო მყოფთა ქმედებანი ემთხვევა მათ საკუთარ სურვილებს. თუკი გსურთ ყავისფერთვალიანთა სიყვარულის მოპოვება, უნდა ისწავლოთ მათი სურვილების გამოცნობა. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ თავის როგორც შინაგან, ასევე გარეგნულ მომხიბვლელობას.

„თბილთვალებიანებიც“, აგრეთვე, ორ კატეგორიად იყოფიან: მუქ-ყავისფერთვალებიანი ადამიანებისთვის საკმარისია ცხოვრებაში რამდენჯერმე მიიღონ ის, რაც მათ გულით სწადიათ — ვთქვათ, იღბლიანად გათხოვდნენ, მოეწყონ სასურველ სამსახურში, შეიძინონ ავტომანქანა — და ისინი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფსიქიკურ წონასწორობას ინარჩუნებენ. ყვითელთვალიანებისთვის კი არც მცირე, არც დიდ წარმატებას ხანგრძლივი სიმშვიდე არ მოაქვს. ისინი სამყაროსგან თავიანთი მოთხოვნილებების სულ ახალ და ახალ დაკმაყოფილებას ითხოვენ. გაიხსენეთ თუნდაც სტალინი, რომელიც სულს ხდიდა სსრ კავშირის ხელმძღვანელობას ღამის სატელეფონო ზარებით.



ნაცრისფერთვალებიანებს ბედი იშვიათად ასაჩუქრებს. ცხოვრება მათგან ჭარბი ენერგიის გამოწოვას ლამობს, რისთვისაც უამრავ წინააღმდეგობას უქმნის გადასალახავად. ყავისფერთვალებიანებს კი, პირიქით, ბედი გაცილებით უფრო ხშირად ასაჩუქრებს. სიყვარულში ნაცრისფერთვალებიანები გაცილებით უფრო მეტად უფრთხილდებიან სხვა ადამიანებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, ყავისფერთვალიანებისთვის კი უფრო ფასეულია მათდამი დამოკიდებულება.



მწვანეთვალებიანებს კი სიყვარულის გრძნობა ისეთივე აქვთ, როგორსაც სხვები ავლენენ მათ მიმართ. თუკი გსურთ, რომ გვერდით გყავდეთ ჰარმონიული, თანაც ერთგული მეგზური — აირჩიეთ მწვანეთვალება. ამ ადამიანთათვის უდიდესი სიამოვნებაა იმის შეგრძნება, რომ თავად პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რასაც საკუთარ თავს უყენებენ. ისინი არიან პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძნობის მქონე ადამიანები, რომლებიც, აგრეთვე, თავგანწირვისთვის არიან მზად. წარმოებაში ასეთი ადამიანებისგან დგებიან იდეალური მოადგილეები, რომლებსაც საქმისთვის ჭეშმარიტად შესტკივათ გული. მაგრამ მათი მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნა არაპერსპექტიულია: ისინი ერთნაირი ენთუზიაზმით ეკიდებიან როგორც დიდ საქმეებს, ასევე წვრილმანებსაც.

გარშემო მყოფთათვის საკმაოდ რთული გამოცანაა ის ადამიანები, რომელთა თვალის ფერი ნაცრისფერისა და ყავისფერის შენარევია. მათში სტიქიურად ილვიძებს ან ენერგიით აღსავსე მებრძოლი, ან, პირიქით, ადამიანი, რომელიც საკუთარი თავისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თხოულობს. ასეთი ადამიანების შესახებ ამბობენ ხოლმე: „გააჩნია, დილით რომელი ფეხით ადგა“-ო. ასეთი კატეგორიისა არიან ეგრეთ წოდებული „საბედისწერო“ ქალები ან კაცები, რომელთა გამო ინგრევა იმ ადამიანთა ცხოვრება, რომლებსაც ბედმა წილად მათი სიყვარული არგუნა და რომლებიც ამაოდ ცდილობენ მათ საქციელში რაღაც კანონზომიერების დადგენას. იმ ადამიანებს კი, რომლებიც მიხვდებიან, რომ ასეთ პიროვნებებს უნდა მოეპყრონ ხან როგორც ნაცრისფერთვალებიანებს, ხან როგორც ყავისფერთვალებიანებს, მათი ხასიათისდა მიხედვით, „საბედისწერო“ ადამიანები აფასებენ, რადგანაც იციან, რომ ისინი არც ისე ბევრნი არიან.



ენერგეტიკულ დონორობასა თუ ვამპირობაში კორექტირება, აგრეთვე თმის ფერსაც შეაქვს. მაგალითად, ღია ფერის თმა ყავისფერთვალება ადამიანებშიც კი ენერგეტიკული დონორობის ნიშნებს — მიზანდასახულობას, ავანტიურიზმს აჩენს. მუქი ფერის თმა ლურჯთვალება ადამიანებს აფრთხილებს, გულჩათხრობილებს ხდის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟღალთმიანი და ცისფერთვალება ადამიანები. ენერგეტიკულად ისინი კაცობრიობის ყველაზე ძლიერი წარმომადგენლები არიან, რომელნიც საოცრად იოლად ძლევენ ყველა წინააღმდეგობას, ადვილად ივიწყებენ წყენას, ყოველთვის მზად არიან გაბედული ნაბიჯის გადასადგმელად.

თმისა და თვალის ფერის მოყვანილი დახასიათებები, ბუნებრივია, არ არის ცალსახად მიმანიშნებელი ამა თუ იმ ადამიანის ენერგეტიკულ დონორობასა ან ვამპირიზმზე. ყოველივე ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, სოციალურ აღზრდაზე, ზოგჯერ კი, უბრალოდ, სიტუაციაზე. ასე მაგალითად, ყავისფერთვალება ადამიანი შეიძლება ენერგიის წყარო იყოს ოჯახისთვისაც და კოლექტივისთვისაც, თუკი იგი საკუთარ თავში დარწმუნებული კაცია, მაღალი კლასის პროფესიონალი. ნაცრისფერთვალება შუა ხნის მამაკაცი კი, შესაძლოა, ბავშვებისთვის ვამპირი გახდეს.

მოყვანილი მახასიათებლები ასახავენ მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას დონორობისა თუ ვამპირიზმისადმი, რისი ცოდნაც შესაძლებელს ხდის, გზა გაიკვლიოთ მათი გულისაკენ და მოაგვაროთ კონფლიქტები.

მოამზადა

**ოთარ ტურაბელიძემ**

**„ნუველ ობსერვატორ“**

**საფრანგეთი**

ფეხბურთი

# შავი სამშაბათი და ...

22 აგვისტოს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების, შესარჩევი ციკლის განმეორებითი შეხვედრები. არ გაუმართლდათ ქართულ კლუბებს, რომლებმაც განმეორებითი თამაშებიც დათმეს. თბილისის „დინამოს" პრობლემებზე ბევრი ვისაუბრეთ. ხაზი გავუსვით იმ გარემოებებს, რომ გუნდის ყველა რგოლი თითქმის თავიდან არის დასაკომპლექტებელი, ამიტომ შეიმჩნეოდა არაორგანიზებულობა, რაც ნათლად აისახა მატჩის დროს. თბილისელებს ამ შეხვედრაში უპირატესობა ჰქონდათ. შექმნეს კიდეც რამდენიმე საგოლე სიტუაცია, მაგრამ, მათი რეალიზაცია ვერაფრით ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, „დინამო" ისევე, როგორც პირველ მატჩში, დამარცხდა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე ბულგარელებმა კარგად გამოიყენეს ჯარიმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

სამტრედიელებს წელს, ევროპულ თასებზე დებიუტი ჰქონდათ. მათი მეტოქე მაკედონიის ჩემპიონი „ვარდარი" იყო. ქართველი ფეხბურთელების თამაშმა სტუმრად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ, განმეორებით შეხვედრას ქართველი გულშემატკივარი დიდი იმედით ელოდებოდა. პირველ წუთებში სამტრედიელთა უპირატესობა მართლაც აშკარა იყო. მათ მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. მეტოქის კარში კარგად ურტყამდნენ: ზაზა ჯანაშია და გოგიაშვილი, მაგრამ სამტრედიელებმაც, ისევე, როგორც „დინამომ", ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები და დაისაჯნენ კიდეც. მაკედონიელმა ფეხბურთელებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს და ორი მათგანი გოლითაც დააგვირგვინეს. 0:2 — ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი.

შესარჩევ ციკლში რამდენიმე სიურპრიზიც აღინიშნა. საფრანგეთის „სტრასბურგმა" პირდაპირ გაანადგურა ავსტრიის „ტიროლი" — 6:1. შესარჩევ ციკლს, აგრეთვე, ვერ გადაურჩა თურქეთის „გალათასარაი", რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე უცვლელად ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობდა. თურქმა ფეხბურთელებმა, მას შემდეგ, რაც სტუმრად ჩეხეთის „სპარტასთან" 1:3 დამარცხდნენ, შინ მხოლოდ ფრეს მიაღწიეს — 1:1. კრიზისს განიცდის 1991 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ცნობილი იუგოსლავიური კლუბი „ცრვენა ზვეზდა". შვეიცარიის „ქსამაქსთან" შინ წაგებული თამაშის შემდეგ (0:1), იუგოსლავიელებმა სტუმრად მხოლოდ ფრეს (0:0) მიაღწიეს და გამოეთიშნენ გათამაშებას. აღსანიშნავია, რომ მატჩი შვეიცარიელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა.

მაია იმნაძე

# ბრწყინვალე ხუთშაბათი

ბათუმი. 24 აგვისტო. მზე და სიმშვიდე. ზღვა წყნარია. წყალი — თბილი. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიედინება სანაპიროსკენ. იწყება კიდევ ერთი ჩვეულებრივი დღე. ბულვარზე ხალხის ნაკადი მატულობს. ბულვარს რომ გაცდები და ქალაქის შუაგულისკენ გაუხვევ, იქვე კაფეა. კაფეში ბევრი ხალხია, მოცდა მოგვიწევს. შესასვლელთან მოხუცი მიმჯდარა, ჩიბუხს აბოლებს.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! შენ აქაური არ უნდა იყო.

— დიახ, თბილისიდან ვარ.

— დიდი ხანია, იქ არ ვყოფილვარ, — მოხუცმა ამოიოხრა. ეტყობა, თბილისთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს.

— შენ, ალბათ, ისვენებ, ხომ?

— თან ვისვენებ.

— თან ისვენებ?

— ხო, ფეხბურთის საყურებლად ვარ ჩამოსული.

— აბა, დღეს მაგარი თამაში იქნება.

— გიყვართ ფეხბურთი?

— თბილისში მიმავალს, რაც მე მატარებელში ღამეები მითევია. მაშინ ყველას თბილისის „დინამოზე" ამოგვდიოდა მზე და მთვარე. იყო პერიოდი, როცა თამაშს არ ვაცდენდი და მატარებლის მთელი პერსონალი მიცნობდა. ზოგიერთი გიჟსაც მეძახდა. მაგრამ მესხის, მეტრეველის, ბარქაიას, იამანიძის გულისთვის ღირდა ამის ატანა.

— როგორ ფიქრობთ, დღეს ვინ მოიგებს?

— რა თქმა უნდა, ჩვენები. არა მგონია, რომ გაუჭირდეთ.

— სტადიონზე თუ წახვალთ?

— ვნახოთ, დიდი სურვილი კი მაქვს, შეიძლება წამოვიდე კიდეც.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ. მოხუცმა ჩიბუხი გაწმინდა. მე სტადიონისკენ გავეშურე. იქ გავიგე, რომ დასავლეთ საქართველოდან ბათუმის მიმართულებით გულშემატკივრებით დატვირთული მანქანების უწყვეტი ნაკადი მოედინება. მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ბათუმის ახალი სტადიონი გაივსო.

თამაში დაიწყო. ჩვენები თავდაჯერებულები ჩანან. ისინი ვერ აკონტროლებენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს. მე-6 წუთი — მაჭუტაძის შესანიშნავი გოლი. მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. მე-8 წუთი. ჯარიმა ბათუმელთა კართან სარიჩის პირველი ბურთი — 0:1. ბათუმელები არ ცხრებიან, მაგრამ ისინი კვლავ ვერ აკონტროლებენ სტუმართა კონტრგამოხდომებს. 32-ე წუთი — სპასიჩმა მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, მოუახლოვდა ბათუმელთა საჯარიმო მოედანს, მოატყუა მცველი და მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 0:2. პირველი ნახევარი მაინც ბათუმელთა იერიშით დასრულდა. მეორე ტაიმში „დინამოს" მწვრთნელმა მინდორზე საბრძოლო რეზერვი გამოიყვანა. შეტევის მარცხენა ფრთაზე განსაკუთრებით აქტიურობდა ახალგაზრდა ამირან მუჯირი. მის ფანტაზიას ბოლო არ უჩანდა. მუჯირმა რამდენჯერმე მოატყუა მეტოქის ორი მცველი, შეიჭრა საჯარიმოში. სახიფათო ჩაწოდება, მაგრამ კვლავ არაზუსტი დარტყმა. მუჯირი, მაჭუტაძესთან და უჩმაჯურიძესთან ერთად, შესანიშნავ ტრიოს ქმნის. მე-60 წუთი. მოედნის შუაგულიდან უჩმაჯურიძის ბრწყინვალე გადაცემა მაჭუტაძის მისამართით. პასი ჭრის მოწინააღმდეგის დაცვას, მაჭუტაძე — სარიჩი, დარტყმა და ანგარიშია — 1:2. ბათუმელებს ერთი ბურთიღა სჭირდებათ. აღელდა მაყურებელი. ბობოქრობს სტადიონი. ხალხის გახელებას საზღვარი არ აქვს. დაძაბულობა, მღელვარება, აღფრთოვანება ერთმანეთს ცვლის. ქართველი ფეხბურთელები მეტისმეტმა შემართებამ და ბრძოლის ჟინმა შთანთქა. მარცხენა ფრთაზე არ ცხრება მუჯირი. მარჯვნივ — მაჭუტაძე. ცენტრში — უჩმაჯურძე და ტულუში. ბურთი სულ უფრო ხშირად სტუმრობს სარიჩის საჯარიმოში. 70-ე წუთი. კარი ცარიელია, მაჭუტაძის დარტყმა. ბურთი აცდა კარს. 83-ე წუთი — სტუმართა საჯარიმოში დაეცა ბათუმელი ფეხბურთელი მსაჯის სასტვენი დუმს. აჰა, მოცელეს ტულუში და... თერთმეტმეტრიანი. პენალტი ბრწყინვალედ შეასრულა ამ მატჩის გმირმა — ამირან მუჯირმა. ანგარიში გათანაბრდა — 2:2. სტუმართა ბოლო გაბრძოლება უშედეგო. ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება. ბათუმელთა ზეიმი. ქეიფები. ზღვის ღელვა... მომავალი მეტოქის მოლოდინში.

კახა ფარუაშვილი

ჭიდაობა

# ისევ უმედლოდ დაგვიბრუნდნენ

ჭიდაობის მოყვარულებს, ალბათ, ეხსომებათ ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მყოფი 4-5 ქართველიდან, სამშობლოში უმრავლესობა მათგანი მედლის გარეშე არ ბრუნდებოდა. დღეს ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლად ასპარეზობს. ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ეგრეთწოდებულ ნაკრებში 3-4 ფალავანი გამოდის, რაც ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობით არის გამოწვეული. ამის მიუხედავად, საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ეროვნული ჭიდაობის ფედერაცია ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოამზადონ ჩვენი ნაკრები პასუხსაგები ასპარეზობებისთვის, რომლებიც ფილას კალენდარშია შეტანილი. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საქართველოს თავისუფალი სტილის ფალავანთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდის. შარშან სტამბულის მსოფლიოს პირველობაზე გუნდში 3-4 ვეტერანი ფალავანი გამოდიოდა, რომლებმაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი. თურქეთის ხალიჩაზე საქართველოს მცირერიცხოვანმა დელეგაციამ სრული ფიასკო განიცადა. გუნდში მოვიდა ახალი მწვრთნელი, გამოცდილი გიორგი გალდავა, რესპუბლიკის ფედერაციას სათავეში ჩაუდგა სეულის XXIV ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი. ერთი წლის განმავლობაში, რაღაც სასიკეთო ძვრები მოხდა. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც თითო-ოროლა სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს. ეს იყო და ეს. ჩვენთვის მთავარი საზომია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. წლეულს ფრაიბურგში (გერმანია) გამართულ კონტინენტის პირველობაზე 5 ქართველი ფალავანი გამოდიოდა. აქედან მხოლოდ ელდარ კურტანიძემ (90 კგ) მოიპოვა ვერცხლის მედალი. დანარჩენებს ხელი მოეცარათ.

აგვისტოს პირველი დეკადის დამლევს, ატლანტაში (აშშ), ზაფხულის მომავალი XXVI ოლიმპიადის ქალაქის ხალიჩაზე ჩატარდა მსოფლიოს 1995 წლის პირადგუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ჩვენი პლანეტის 64 ნაკრები მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. შემდეგ მოდიან ირანისა და რუსეთის გუნდები. საქართველოს ნაკრებში 6 მოჭიდავე ასპარეზობდა და გუნდმა მე-16 ადგილი დაიკავა. ყველაზე უკეთ გამოვიდა მძიმეწონოსანი ზაზა თურმანიძე, რომელმაც IV ადგილი დაიმსახურა. ქართველმა მოჭიდავემ დაამარცხა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, თურქი ადემირი — 6:1, ქულებით სძლია მსოფლიოს პირველობათა პრიზიორს, ყოფილ თბილისელს მერაბ ვალიევს და ბრინჯაოს მედლისთვის მატჩში წააგო მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონთან, კიდევ ერთ ყოფილ თბილისელთან ლერი ხაბელოვთან. დანარჩენი ქართველი ფალავნების შედეგები ასეთია: იყუშიტაშვილი (57 კგ) — მე-20 ადგილი, ჯკილაძე (68 კგ) — 32-ე ადგილი, გ.მაკასარაშვილმა (74 კგ) ნეკნი დაიზიანა და XII ადგილს დასჯერდა. ელდარ კურტანიძემ თავდაპირველად 3 შეხვედრა მოიგო, მაგრამ ორ მომდევნოში დამარცხდა და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მხოლოდ მე-8 ადგილზე გავიდა. 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში სტარტზე 3 შერკინება მოიგო დავით ხურციამ, მაგრამ IV-V წრეებში დამარცხდა და XII ადგილზე გავიდა.

შალვა ქორიძე

# კოლერი — გერმანიის ნაკრების კაპიტანი



როგორც მოგეხსენებათ, გერმანიის ნაკრების კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო და გამოეთიშა დიდ ფეხბურთს დაახლოებით ორი თვით, მის ნაცვლად ბერტი ფოგტსმა ახალ კაპიტნად იურგენ კოლერი აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამის წინააღმდეგი იყო. კოლერი კაპიტნის რანგში ითამაშებს მანამდე, სანამ არ გამოჯანმრთელდება კლინსმანი.

კოლერი, რომელსაც ნაკრების რიგებში 75 მატჩი აქვს ჩატარებული, ნაწყენი იყო თავის მწვრთნელზე იმის გამო, რომ რამდენიმე თვის წინ მან კაპიტნად კლინსმანი აირჩია და დაარღვია წესი, რომლის მიხედვითაც კაპიტნად ინიშნება ის ადამიანი, რომელსაც ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. კოლერი კაპიტნის რანგში თავის პირველ შეხვედრას ბელგიაში გამართავს, სადაც გერმანიის ნაკრები მიემგზავრება. ბერტი ფოგტსის თქმით, ეს ტურნე იქნება მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპი საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართება.

# ასპრილია პარმაში დაბრუნდა



კოლუმბიელი თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია შეუდგა ვარჯიშს „პარმას" შემადგენლობაში, რომელიც მან ივნისში მწვრთნელებთან კონფლიქტის გამო დატოვა. 25 წლის ფორვარდი „პარმიდან" წასვლის შემდეგ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ინგლისისა და გერმანიის კლუბებთან, მაგრამ უშედეგოდ. ასპრილიას თქმით, ყველა კონფლიქტი მასსა და მწვრთნელებს შორის მოგვარებული იქნა და იგი ამ სეზონს „პარმას" რიგებში დაიწყებს. ახლა „პარმას" შემადგენლობაში [illegible]

ჩოგბურთი

მსოფლიოს ჩოგბურთის ფედერაციამ ამერიკის ღია ჩემპიონატის დაწყების წინ გამოაქვეყნა ვაჟთა და ქალთა ახალი რეიტინგი. გაგაცნობთ ვაჟთა და ქალთა საუკეთესო ათეულებს.

**ვაჟები**

1. ანდრე აგასი (აშშ) 5652
2. პიტ სამპრასი (აშშ) – 4299
3. ტომას მუსტერი (ავსტრია) 3842
4. ბორის ბეკერი (გერმანია) – 3414
5. მაიკლ ჩანგი (აშშ) – 2961
6. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) – 2719
7. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 2689
8. მიხაელ შტიხი (გერმანია) – 2355
9. ტომას ენკვისტი (შვეცია) – 2079
10. უეინ ფერეირა (სარ) – 1967

**ქალები**

1. შტეფი გრაფი (გერმანია) 332,82 და მონიკა სელეში (აშშ)
2. არანჩა სანჩესი (ესპანეთი) 288,42
3. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 211,97
4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 201,83
5. მარი პირსი (საფრანგეთი) 181,40
6. კიმიკო დატე (იაპონია) 171,54
7. მაგდალენა მალეევა (ბულგ) 155,95
8. გაბრიელა საბატინი (არგენ) 151,60
9. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) 143,71
10. ანკე ჰუბერი (გერმანია) 118,45

ვყიდი სამოთახიან (სუფთა მდგომარეობაში) ბინას დიღმის მასივში, უნივერსამის მახლობლად. ბინაში არის ტელეფონი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-54-74, 35-15-09.

მარი კული კომპანია „მარსის" ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში „კოკა-კოლა კავკასიონის" განყოფილება „მარსს" ესაჭიროება შრომისმოყვარე, ენერგიული ახალგაზრდები. ფირმა „მარსის" საცალო-სავაჭრო ქსელში სამუშაოდ.

ანაზღაურება მაღალია!

მსურველებს გთხოვთ, დარეკოთ შემდეგ ტელეფონებზე: 34-62-25. დილის საათებში 9 სთ-დან 12 სთ-მდე.

შპს „კოკა-კოლა კავკასიონის" მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება „კავკასიონი ..." აცხადებს დივიდენდების გაცემას აქციონერებზე, რომლებმაც შეიძინეს აქციები 14 ივლისის ჩათვლით.
დივიდენდების გაცემა იწარმოებს 29 აგვისტოდან პირველი სექტემბრის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე სააქციო საზოგადოება „კავკასიონი ..."-ის ოფისში — აკაკი წერეთლის გამზირი №114.
ყველა აქციონერს ვთხოვთ, იქონიონ მოწმობა აქციების მფლობელობის შესახებ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

## ტესტი:

# ადვილია თუ არა თქვენი შეცდენა

თქვენ ფიქრობთ, რომ საუბარი სიყვარულს შეეხება? სულაც არ არის აუცილებელი. საცდუნებელს მრავალ სხვა სფეროშიც შეიძლება წავაწყდეთ. შეგვიძლია თუ არა მათი თავიდან აცილება? სწორედ ამ კითხვაზე უპასუხებს მოცემული ტესტი. ყველა კითხვაზე ის პასუხი უნდა გადახაზოთ, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღებია თქვენთვის.

1. თქვენ გსურთ წონაში რამდენიმე კილოგრამის დაკლება და საკმაო ხანია, რაც მკაცრ დიეტას იცავთ. და აი, თავისი სამზარეულოთი სახელგანთქმულ რესტორანში გეპატიჟებიან, თქვენი მეგობრების ქორწინების ერთი წლისთავის აღსანიშნავ წვეულებაზე. როგორ იქცევით?

ა) მივიღებ მიწვევას და გადავწყვეტ: უარეს შემთხვევაში, დიეტა ოდნავ გაგრძელდება.

ბ) მივდივარ წვეულებაზე, ოღონდ მანამდე არაფერს ვჭამ, ვახშამზე კი ზუსტად იმდენს ვჭამ, მასპინძლები რომ არ გავანაწყენო.

გ) არ ვიღებ მიწვევას და გულითად მადლობას ვიხდი.

2. მეგობარი ახალ უცხოურ კაბას ყიდის. თქვენ დიდი ხანია ოცნებობთ ასეთზე, მაგრამ საკმარისი თანხა არა გაქვთ. როგორ იქცევით?

ა) თანხის ნაწილს იხდით და კაბას ართმევთ ხელფასის აღებამდე.

ბ) სთხოვთ თქვენს მეგობარს, შეინახოს ეს კაბა, სანამ თქვენ საჭირო თანხას შეაგროვებთ.

გ) ცდილობთ სადმე ისესხოთ საჭირო თანხა.

3. ვთქვათ, თქვენ პატარა ავტომობილი გყავთ. ამ ავტომობილისთვის ფულს წლების მანძილზე აგროვებდით და ძალიან უფრთხილდებით მას. ერთხელაც, თქვენი მეგობარი გთხოვთ მანქანის თხოვებას, რადგან სასწრაფოდ უნდა გაემგზავროს სოფელში, არადა, თქვენ სულაც არ გინდათ ამის გაკეთება. როგორ გამოსავალს ნახულობთ?

ა) გულწრფელად ეუბნებით, რომ დაფიცებული გაქვთ, მანქანა არავის ათხოვოთ.

ბ) უხსნით, რომ ეს შეუძლებელია, რადგან მანქანა გაფუჭებულია.

გ) დამძიმებული გულით მაინც ათხოვებთ, თან თქვენს თავზე ბრაზობთ.

4. დედათქვენს დაპირდით, რომ კაბის გადაკეთებაში დაეხმარებოდით. ეს კაბა მან მეორე დღეს ვიზიტზე უნდა ჩაიცვას. როდესაც სახლიდან გადიოდით, მეგობარმა დაგირეკათ და დღის მეორე ნახევარში სასიამოვნო გეგმა შემოგთავაზათ. როგორ მოიქცევით?

ა) ურეკავთ დედას და ეუბნებით, რომ მოგვიანებით მიხვალთ, სასწრაფო სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ბ) ასრულებთ დედისთვის მიცემულ დაპირებას.

გ) ეკითხებით დედას, შეძლებს თუ არა მარტო კაბის დარღვევას.

5. გამოფენის გახსნაზე ძალიან სიმპათიური მამაკაცი გაიცანით. იქ სასაუბრო ატმოსფერო არ იყო და მან თავის სახლში მიგიწვიათ ფინჯან ჩაიზე, ქუჩის იქითა მხარეს.

ა) გადაწყვეტთ, რომ ეს მშვენიერი აზრია.

ბ) შესთავაზებთ ხვალ კაფეში შეხვედრას.

გ) განუცხადებთ, რომ ცუდი მიზნები აქვს და ცივად დაემშვიდობებით.

6. წარმოიდგინეთ, რომ რაღაც კონკურსზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიგეთ. რას აირჩევთ?

ა) მთის კურორტზე ორკვირიან მოგზაურობას.

ბ) ჯილდოს ნაღდი ფულით.

გ) ნივთიერ ჯილდოს: რადიომიმღებს, ელექტროჩაიდანი და სხვა.

7. ღამით ყველაზე მეტად რისი ჩაცმა გიყვართ?

ა) ღამის პერანგის.

ბ) პიჟამასი.

გ) შიშველს გძინავთ.

8. ქმარი, ვაჟიშვილი ან მამამთილი დროდადრო ყვავილებს გჩუქნით. რომელი ყვავილი მოგწონთ?

ა) ვარდი.

ბ) ია.

გ) ორქიდეა.

9. გჯერათ, რასაც ჰოროსკოპი გიწინასწარმეტყველებთ?

ა) დიახ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ბ) არა, ამას ხომ აზრი არა აქვს.

გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასიკეთო წინასწარმეტყველებაა.

10. საყიდლების ყიდვის შემდეგ უეცრად აღმოაჩინეთ, რომ საფულეში არც ერთი კაპიკი არა გაქვთ, სახლამდე კი მხოლოდ ავტობუს-ექსპრესით შეგიძლიათ მისვლა.

ა) წახვალთ ,,უბილეთოდ".

ბ) ფეხით წახვალთ.

გ) შეეცდებით ვინმე უცნობს ესესხოთ ფული.

11. თქვენ ქალაქში ყველაზე ცნობილ დალაქთან იყავით, რადგან ახალი მოდური ვარცხნილობის გაკეთება გსურდათ. საუკეთესო მეგობარმა განგიცხადათ, რომ იგი თქვენ ასაკს გმატებთ. რას იზამთ?

ა) დაუყოვნებლივ შეიცვლით ვარცხნილობას.

ბ) ცდილობთ ყურადღება არ მიაქციოთ ამ კრიტიკას.

გ) სანამ რაიმეს მოიმოქმედებდეთ, სხვებსაც სთხოვთ აზრის გამოთქმას.

12. როგორ გამოიყურება თქვენი ხელჩანთა ,,შიგნიდან"?

ა) საკმაოდ მოწესრიგებულად — ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ბ) ცოტა უწესრიგობაა, მაგრამ არა უშავს.

გ) დიდი ქაოსია.

ცხრილის მეშვეობით ქულები დაითვალეთ, შემდეგ კი წაიკითხეთ პასუხებში, რამდენად გემუქრებათ შეცდენის საშიშროება და რამდენად ექვემდებარებით ცდუნებას.

| შეკითხვა | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 2 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 3 |
| 4 | 2 | 1 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 3 | 1 | 2 |
| 7 | 2 | 1 | 3 |
| 8 | 3 | 2 | 1 |
| 9 | 2 | 1 | 3 |
| 10 | 3 | 1 | 2 |
| 11 | 3 | 1 | 2 |
| 12 | 1 | 2 | 3 |

## ქულები

**12-დან 19-მდე:**

თქვენ ერთობ ზუსტად იცით არა მარტო ის, თუ რა გინდათ, არამედ ისიც, თუ რა არ გინდათ. თქვენ მყარი პრინციპები და შეხედულებები გაქვთ, რომლებსაც არ ღალატობთ. ერთი მხრივ, ეს სასარგებლოა, რადგან თქვენ არ ჩადიხართ სისულელეებს. მეორე მხრივ კი, სამწუხაროა, რომ თქვენ ასე სალად უყურებთ საგნებს და მათ პრინციპულად აფასებთ. ამის შედეგად თქვენ მოკლებული ხართ სასიამოვნო სიურპრიზებს, ამდენად, გარკვეულწილად, სიხარულსაც ცხოვრებაში. თქვენმა გულცივობამ და საქმიანმა დამოკიდებულებამ ბევრი თაყვანისმცემელი დაგიფრთხოთ. შეეცადეთ დროდადრო გრძნობებსაც მისცეთ შანსი, თავს უფლება მიეცით შეგაცდინონ და ნუ იფიქრებთ შესაძლო საფრთხეზე.

**20-დან 28-მდე:**

ზოგჯერ ,,ჩუმჩუმელას" შთაბეჭდილებას ახდენთ, მაგრამ მერე მალევე ამჟღავნებთ ძლიერ ტემპერამენტს, რომელსაც თქვენგან არ მოელოდნენ. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ ამ სტიქიურობის მართვა. თუ თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ, გრძნობას ყოველთვის გონიერება სძლევს, თუკი მათ შორის კომპრომისის პოვნა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, რომ როდესმე თავი დაკარგოთ და ვინმეს თქვენი შეცდენის უფლება მისცეთ. ის, ვისაც თქვენთან დამოკიდებულებაში რაიმეს მიღწევა სურს, მოთმინებით უნდა ალიკურვოს და შეეცადოს გონებით დაგარწმუნოთ, რადგან თქვენი დარწმუნება რაიმეში თქვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ შეუძლებელია. რადგან თქვენი დაპყრობა ძნელია, ბევრია ისეთი თაყვანისმცემელი, რომელთაც თქვენი კეთილგანწყობის მოპოვება იზიდავს. თქვენ კი არ გაინტერესებთ ხანმოკლე ნაცნობობა, მაცდურებს განაგდებთ. ამავე დროს, თქვენ აფასებთ აწმყოს, სოლიდურ პარტნიორობას. თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის შეგრძნებას, რომ ვინმეს შეუძლია ერთგულებაზე გიპასუხოთ.

**28-დან 36-მდე:**

თქვენ დიდი სიამოვნებით მოეპყრობოდით ცხოვრებას როგორც თამაშს და ყოველგვარ ცდუნებას აჰყვებოდით. თუ ვინმეს არ სურს თამაშში მონაწილეობა, გული გწყდებათ, ხელს რომ გიშლიან. თქვენ ყოველთვის ყველასთვის სასიამოვნო, თავაზიანი და გულწრფელი ხართ — მაგრამ თაყვანისმცემლებს უფრო ადრე სცილდებით, ვიდრე მათ სურთ. ამგვარ საქციელს განაპირობებს თქვენი იმპულსურობა, დაუოკებლობა, პირველ რიგში კი შიში, რომელიმე თაყვანისმცემელს არ მიეჯაჭვოთ და არ დაკარგოთ სხვა რამ. რაც შეეხება თქვენი ცხოვრების გრძნობით მხარეს, ერთხელ რომ მეშვიდე ცაზე ხართ, მეორედ სასოწარკვეთილებისგან უფსკრულში ვარდებით სასიყვარულო უსიამოვნებების გამო. უფრო ხშირად უნდა დაეყრდნოთ საღ შეფასებებს, რომელთაც აქამდე უარყოფდით, სხვაგვარად, სიძნელეებს გადააწყდებით მუდმივი ბედნიერების ძიებაში.

## ანეკდოტები

ქუთაისში საფლავს აწერია: „უცნობი ჯარისკაცის ჭოჭიკიას საფლავი".

ეკითხებიან:

— თუ ჭოჭიკია ერქვა, უცნობი როგორღაა?

— უცნობია, საერთოდ იყო თუ არა ჯარისკაცი.

* * *

კახელი ტაქსის მძღოლია. ერთხელ, ერთი ზანგი მგზავრი ჩაუჯდა, რომელსაც ხელში პატარა მაიმუნი უჭირავს. მაიმუნი არ იხვენებს. ზანგი წამდაუწუმ ეუბნება:

— ნიკი, მოისვენე! ნიკი, ნუ ცელქობ!

ბოლოს, კახელმა ვეღარ მოითმინა და

— ნიკავ, დაუჯერე მამასა, დაუჯერე!!!



* * *

ქუთაისში ჩასული სტუმარი ბიჭიკას ეკითხება:

— ბალიხკიდე არ იცით, სადა არის?

— თუ კაია, შენ არ იცი, მე რავა არ ვიცი!!!

* * *

ერთი კაცი მეგობარს შეხვდა და შესჩივლა:

— ბავშვი ჩამეჭრა ფიზკულტურის ინსტიტუტში, ცურვაში.

— უჰ, რას მეუბნები, ცოცხალი ხოა?..

* * *

ქუთაისელმა თავის სახლში ცოლს მეორე ქუთაისელთან შეუსწრო. იარაღი ამოიღო, ცოლის საყვარელს შუბლზე მიადო და აყვირდა:

— მოსაკლავი არ ხარ ახლა შენ?

— მოსაკლავი ვარ, აპა რა ვარ, ჩემი საქმე მივატოვე და შენ გასაკეთებელს ვაკეთებ!..

* * *

ჭიათურის რაიონული კლუბის დირექტორს აქსენტის უაღრესად ერთგული მდივანი ქალი ჰყავდა — ჟუჟუნა — თავისივე ასაკის ქალი. ჟუჟუნა ისეთი აღფრთოვანებული იყო ხელმძღვანელით, ვერც კი წარმოედგინა, მისი რაიმე პატარა კაპრიზიც კი რომ არ შეესრულებინა. ერთხელ, აქსენტიმ ჟუჟუნას დაავალა, წადი და ვინმე ქალი მომინახა. დარცხვენილი შევიდა დირექტორის კაბინეტში და უთხრა:

— ბატონო აქსენტი, ვერავინ ვნახე და დღეს ჩემზე ვერ გადაიართ იოლად?..

* * *

აბრამი მეგობარს წერილს სწერს. ბოლოს მიაწერა:

,,პოსტსკრიპტუმი. ხაიმ! შენთვის ასი მანეთი მინდოდა გამომეგზავნა, მაგრამ, სამწუხაროდ, კონვერტი უკვე დავაწებე".

* * *

,,ისეთი სიჩუმე დადგა, თვითმფრინავის გაფრენის ხმაც კი ისმოდა".

* * *



— რატომ ეშინიათ ეშმაკებს კომუნისტების ჯოჯოხეთში შეშვება?

— იმიტომ, რომ ისინი იქ აუცილებლად წამოიწყებენ სახალხო მოძრაობას სამოთხის ასაშენებლად.

* * *

— მამა! საიდან ჩნდებიან ბავშვები?

— წეროს მოჰყავს.

— გრძელცხვირა რომაა?

— ხო.

— სამხრეთში რომ ცხოვრობს?

— დიახ.

— იყო, ეგ ჩვენთან ჩამოსული, შენ რომ მივლინებაში იყავი.



* * *

დედა თავის პატარა გოგონას ეუბნება:

— შენს ასაკში მე დღიურს ვაწარმოებდი.

— როგორი არათანამედროვე ხარ, დედიკო! მე კართოთეკას ვაწარმოებ.

## კროსვორდი



შვეულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 2. მუსულმანთა ღმერთი; 3. სიტყვების შესაერთებელი პატარა, მოკლე ხაზი; 4. რაიმე ორგანიზაციის, კოლექტივის ყველაზე მოწინავე და მოქმედი ნაწილი; 5. ველური ცხენი, გავრცელებულია აფრიკაში; 6. სასიცოცხლო პროცესების დროებითი შენელება ან შეწყვეტა გარემო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით; 12. ფრანგული ფილმის ,,მამების" მთავარი როლის შემსრულებელი; 13. შტატი აშშ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; 14. პიროვნება, რომელიც ნებაყოფლობით აძლევს ავადმყოფს საკუთარ სისხლსგადასასხმელად ან ორგანოს გადასანერგად; 15. ვერცხლისწყლის ქლორიდი; 19. მთელის შემადგენელი ნაწილი; 21. პარკინსონიზმის სამკურნალო გერმანული წარმოშობის მედიკამენტი; 22. ხელმოკლე, გაჭირვებული; 23. სასტუმროს მოსამსახურე, რომელიც იცავს წესრიგს შესავლელსა და ვესტიბულში; 24. კურკიანი ხეხილოვანი მცენარის გვარი; 27. ქართული საწესო სიმღერა, რომელიც ძველად სრულდებოდა შობის წინა ღამეს;

თარაზულად: 7. ქართველი გენერალ-მაიორი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე; 8. კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე; 9. გემის კოჭი, რომელიც ბორტებს აერთებს და წარმოადგენს გემბანის ფუძეს; 10. რომაულ მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთი; 11. სულიერი არსება, ადამიანის მეგობარი; 16. თორმეტი თანავარსკვლავედი, რომლებიც განლაგებულია ეკლიპტიკის გასწვრივ; 17. გამდნარი ან მაგარი ლითონები მიერგაზების შთანთქმა; 18. ცნობილი რუსი სატირიკოსები: ილფი და... 20. ,,წვიმის კაცი", ანუ... 25. ბრაზილიური გრძელბოლოიანი თუთიყუში; 26. მცენარე, რომლის გვირგვინი და ტოტი ძველთაგანვე ითვლებოდა დიდებისა და გამარჯვების სიმბოლოდ; 28. მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 30. სოფელი საგარეჯოს რაიონში.

შეადგინა

ბივი ბოჭორიშვილმა